


დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველი ექსპერტების კომენტარები უზნაძის შრომებზე



თბილისი

2018 წ.

## ქართველი ექსპერტების კომენტარები უზნაპის შრომებზე

ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარე პროექტის “დიმიტრი უზნაპის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება“ ფარგლებში, 2017 წელს დაგეგმილი იყო დიმიტრი უზნაპის შრომების თარგმნა, რედაქტირება, კომენტარების მომზადება და გამოცემა ინგლისურ ენაზე. ამისათვის, მოწვეულ ექსპერტებთან - ქეთევან მაცაშვილი, რუსუდან მირცხულავა, დალი ფარჯანაძე, მარინე ჩიტაშვილი - თანამშრომლობით, შეირჩა დიმიტრი უზნაპის 3 შრომა: “ადამიანის ქცევის ფორმები”, “ფსიქოლოგია და პედაგოგიკა” და “ომის ფილოსოფია”. სამივე ნაშრომი ითარგმნა ინგლისურად და თან დაერთო ამავე ექსპერტების კომენტარი, რომლებიც, თანამედროვე ფსიქოლოგიის მიღწევების გათვალისწინებით, აანალიზებენ ზემოთხსენებულ ნაშრომებს.

გთავაზობთ ოთხი ექსპერტის მიერ შემოთავაზებულ ანალიზს ქართულ ენაზე.

## სარჩევი

დიმიტრი უზნაძის ნაშრომი „ადამიანის ქცევის ფორმები“ .....	1
რუსუდან მირცხულავა	
დ.უზნაძე, განათლების საკითხები	
„ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“ „ადამიანის ქცევის ფორმები“ .....	10
ქეთევან მაყაშვილი	
გამოცდილებაში არსებული შინაარსების არაცნობიერი გავლენა აქტუალურ სიტუაციაზე („პრაიმინგი“) და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია .....	16
დალი ფარჯანაძე	
დიმიტრი უზნაძე - „ომის ფილოსოფია“ .....	29
მარინე ჩიტაშვილი	

## დიმიტრი უზნაძის ნაშრომი „ადამიანის ქცევის ფორმები“

### რუსუდან მირცხულავა

დ. უზნაძის ნაშრომი „ადამიანის ქცევის ფორმები“ პირველად 1941 წ. გამოქვეყნდა, რომელშიც ავტორმა ქცევის დეფინიცია და კლასიფიკაცია წარმოადგინა ერთიან-თეორიული კონცეპციის, განწყობის თეორიის, საფუძველზე. მოგვიანებით, „ქცევის ფორმები“ თან დაერთო ნაშრომს „ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია“ (1947) (1); დ. უზნაძემ, ქართული ფსიქოლოგიისა და ექსპერიმენტული პედაგოგიკის ფუძემდებელმა, ქცევის ფსიქოლოგია, სწორედ, ბავშვის განვითარების პროცესთან დაკავშირებით განიხილა.

დ. უზნაძის თეორიული მოდელის მიხედვით, ქცევა სუბიექტური მოთხოვნილებისა და ობიექტური გარემოს (ობიექტის) ზემოქმედების შედეგად აღიძვრის. გარემო უშუალოდ არ ზემოქმედებს ქცევაზე; ის ზემოქმედებას ქცევის სუბიექტზე ახდენს და მას ქცევისადმი განაწყობს. „გარე სინამდვილე, საგანი ... თავის შესაფერის განწყობას იწვევს“ (1, გვ. 412). უზნაძე აღნიშნავს, რომ სწორედ განწყობის ფენომენი იძლევა ქცევის მიზანშეწონილების (აზრიანობის) გაგების შესაძლებლობას, რადგანაც ის ორი ფაქტორის: სუბიექტური მოთხოვნილებისა და საგნობრივი სინამდვილის ურთიერთქმედების საფუძველზე ყალიბდება.

ქცევის დ. უზნაძისეული კლასიფიკაცია სუბიექტის მოთხოვნილების (განწყობის სუბიექტური ფაქტორის, „აქტივობის მოტორის“) როგორობას ეფუძნება. ავტორმა გაადიფერენცირა მოთხოვნილების 2 ძირითადი კატეგორია: საგნობრივი და აქტივობის მოთხოვნილებები. საგნობრივი (სუბსტანციონალური) მოთხოვნილებით ე.წ. ექსტროგენური ქცევა (პრაქტიკულ-საგნობრივი ქცევა) აღიძვრის, რომლის რეალიზებაც კონკრეტულ საგანს, გარე ობიექტს საჭიროებს (მაგ; კვების მოთხოვნილება - საკვები). ექსტროგენური ქცევა მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ან შესაბამისი ობიექტის

მოპოვების შემდგომ სრულდება. ამგვარი ქცევა თითქოს გარედან (საგნიდან) იღებს იმპულსს და „გარედანაა“ პროდუცირებული (ექსტროგენურია). ექსტროგენულ ქცევათა ფორმებია: მოხმარება, მოვლა, მომსახურება, ცნობისმოყვარეობა, შრომა და საქმე. ქცევის ყველა ამ ფორმას უზნაძე ერთი საერთო სახელით - „შრომა“ აღნიშნავს (1).

აქტივობის მოთხოვნილებით აღძრული, ე.წ. ინტროგენური ქცევა კი, შედარებით „დამოუკიდებელია“ გარე ობიექტისგან და თვითკმარი. დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა აქტიურობაა; აქტივობის ამ თანდაყოლილ და უნივერსალურ მოთხოვნილებას ავტორმა *ფუნქციონალური ტენდენცია* უწოდა. ფუნქციონალური ტენდენცია თავად სუბიექტში არსებული ძალების ამოქმედების იმპულსით აღიძვრის. ინტროგენულ ქცევათა შორის გამოიყოფა თამაში, გართობა, ესთეტიკური ტკობა, მხატვრული შემოქმედება და სპორტი. ქცევის ყველა ამ ფორმას უზნაძე საერთო სახელით - „თამაში“ მოიხსენიებს. რაც შეეხება სწავლას, ავტორი მას ქცევის იმ თავისებური ფორმის სახით განიხილავს, რომელიც შუალედურ რგოლს წარმოადგენს თამაშსა და შრომას შორის და ორივე ტიპის ქცევათა ნიშნების შემცველია, საგნობრივი და აქტივობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, დ. უზნაძე ორგანიზმისთვის დამახასიათებელ ორ ძირითად ინსტინქტზეც მიუთითებს, როგორცაა თავდაცვისა (საგნობრივ მოთხოვნილებასთან დაკავშირებული) და ფუნქციონალური (აქტივობის მოთხოვნილებასთან დაკავშირებული) ინსტინქტები.

დ. უზნაძე მიუთითებს, რომ ქცევის ექსტროგენური და ინტროგენური ფორმები მკვეთრად არაა გამიჯნული და ერთმანეთში გადასვლის ტენდენცია ახასიათებთ. ქცევის ტიპის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა თავად სუბიექტის განცდას ენიჭება; ქცევის ყოველმა ფორმამ შესაძლოა ინტროგენური ბუნება შეიძინოს, თუკი მისი რეალური იმპულსი არა გარე ობიექტი და მისი დაუფლებაა (საკვები, საარსებო პირობები თუ რესურსები და სხვ.), არამედ სუბიექტის შინაგანი ძალების აქტივაციის მოთხოვნილება, ან ფუნქციონალური ტენდენცია. მაგალითად, შრომა შესაძლოა თამაშად იქცეს, თუკი სუბიექტისთვის რეალური მიზანი არა გარკვეული პროდუქტის მოპოვებაა (ანუ

კონკრეტული სარგებელია - რ.მ.), არამედ სუბიექტური ძალების თავისუფალი ამოქმედება და მასთან დაკავშირებული სიამოვნება.

ფუნქციონალური ტენდენცია, როგორც უნივერსალური ინსტინქტური მექანიზმი, ფილო და ონტოგენეზის ადრეულ საფეხურებს უკავშირდება, თუმცა, ის ქმედითი ძალის სახით არსებობას განვითარებული ფსიქიკის პირობებშიც აგრძელებს. უზნაძე აღნიშნავს, რომ ზრდასრული ადამიანის გარემოსთან მიმართება მხოლოდ პრაქტიკულ-უტილიტარული აქტივობით არ შემოიფარგლება. თამაში, როგორც სუბიექტური ძალების თავისუფალი გამოვლინება, მხოლოდ ბავშვობის პერიოდთან არ კავშირდება და არ უნდა კავშირდებოდეს. ქცევის ინტროგენური ფორმები (თამაში, გართობა, მხატვრული შემოქმედება, ესთეტიკური აღქმა, სპორტი) ადამიანის განვითარების ნებისმიერი ეტაპისთვის არის დამახასიათებელი. უფრო მეტიც, უზნაძის სიტყვებით, “ძალთა თავისუფალი თამაში აბსოლუტურად აუცილებელია ადამიანისათვის” (1, გვ. 431).

დ. უზნაძის „ფუნქციონალური ტენდენციისა“ და „ინტროგენურ-ექსტროგენურ ქცევათა“ ცნებები უნდა განხილულ იქნეს თანამედროვე ფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ, “შინაგანი მოტივაციის“ (intrinsic motivation), „გარეგანი მოტივაციისა“ (extrinsic motivation) და ფუნქციონალურ ტენდენციის მსგავსი სემანტიკის მქონე ცნებებთან მიმართებაში; ეს ცნებებია: „ზრდის მოტივი ან მეტამოთხოვნილება“ - მასლოუ; „კვლევითი მოთხოვნილება“ - მონტჰომერი, ბათლერი; „მოწყენილობის თავიდან არიდების მოთხოვნილება“ - მაიერსი, ზიმბარდო, მილერი; „მანიპულაციური მოთხოვნილება“ - ჰარლოუ, დევისი; „შეგრძნებათა ძიების მოთხოვნილება“ (sensation seeking) - ცუკერმანი, „აღმოჩენისკენ სწრაფვა“ - მერფი, „კომპეტენტურობის მიღწევის მოტივი“ - ვათი; „ფუნქციონალური ავტონომია“ - ოლპორტი; „ინტერესი-აგზნება“ ან drive-free behavior - იზარდი, „აქციონალური შიმშილი“ - ჯ. მორენო და სხვა (5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19).

უნდა ითქვას, რომ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ცნებები თანამედროვე სოციალური, განათლების და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კარდინალური ცნებებია. თანამედროვე ფსიქოლოგიაში შინაგანი მოტივაციის ფენომენის მნიშვნელობას ნათლად ასახავს პიროვნების 5 ფაქტორიან მოდელში ან „დიდ ხუთეულში“ ცალკე გამოყოფილი

გამოცდილებისადმი ღიაობის პიროვნული ფაქტორიც, რომელიც, სხვა მახასიათებლებთან ერთად, უკავშირდება თვით-აქტუალიზებას, ავტონომიურობას, ინტენსიურ შთაბეჭდილებათა ძიებას და უპირისპირდება პრაგმატულობასა და რუტინას (4).

შინაგან მოტივაციას ფსიქოლოგია აქტიურად 1970-იანი წლებიდან სწავლობს, მაგრამ ქცევის აღნიშნული ტიპი ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში დაფიქსირდა; „ნიკომახეს ეთიკაში“ არისტოტელე ამგვარი ქცევისადმი სტიმულს თვით „სიცოცხლის სტიმულს“ უწოდებს, ხოლო მის სუბიექტს - “ზედნიერ ადამიანს“, რომელსაც კმაყოფილებას თავად აქტივობა ანიჭებს და არა მისით მიღწეული შედეგი. თანამედროვე განმარტებით, შინაგანი მოტივაცია (intrinsic motivation) მოტივაციური სისტემის ელემენტია, რომელიც ინდივიდის სპეციფიკურ სტიმულირებას გულისხმობს; მის მიერ სტიმულირებული ქცევა არაა მიმართული კონკრეტულ შედეგზე, თავად იტვირთება მნიშვნელობით, აღძრავს პროცესუალურ და რეზულტატურ, დადებითი ვალენტობის ემოციურ განცდებს. ავტორთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები ქცევის ეფექტურობას განსხვავებული მოტივაციის პირობებში იკვლევენ. შემუშავებულია შინაგანი მოტივაციის სკალირების მეთოდიც (18).

თანამედროვე ფსიქოლოგიის (განათლების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ჰუმანისტური ფსიქოლოგია) მიერ შინაგანი მოტივაციის ფენომენით დაინტერესების მიუხედავად, არა ერთი საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თანამედროვე კვლევით მუშაობას ერთიანი თეორიული ფუნდამენტი არ გააჩნია და მკვლევარები განსხვავებულ თეორიულ შეხედულებათა (როგორცაა ვაინერის „ატრიბუციის თეორია“, ბანდურას შეხედულება მე-ს ეფექტურობასთან დაკავშირებით, ლოკუს-კონტროლისა და მიზანზე ორიენტირების კვლევები) კომპილაციას მიმართავენ. ამ თვალსაზრისით, საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს დ. უზნაძის ფუნქციონალური ტენდენციის ფენომენი, რომელიც განწყობის თეორიის ერთიან სისტემაში მოიაზრება.

ზემოთ აღნიშნულ თანამედროვე შეხედულებათაგან განსხვავებით, დ. უზნაძე განწყობის ფსიქოლოგიის ისეთ საკვანძო ფენომენებს, როგორცაა ფუნქციონალური ტენდენცია, აქტუალიზაციისთვის მზაობაში მყოფი განცდები და განწყობა ერთიან კონცეფციაში ამთლიანებს. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1936 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ძილი და

სიზმარი“ დ. უზნაძემ განწყობა განსაზღვრა, როგორც განცდათა აქტივაციის მზაობა ან განცდათა ფუნქციონალური ტენდენცია (3); ავტორი მიუთითებს, რომ არაცნობიერ ფსიქიკაში განცდები არსებობს ფუნქციონალური ტენდენციის აქტივაციის, მისი გარკვეული მიმართულებით განწყობად ფორმირების მზაობის სახით. ავტორის გაგებით, ფანტაზიის როგორც სტიმულს, ასევე, შინაარსს სუბიექტის ფსიქიკურ ძალთა ფუნქციონალური ტენდენცია ან „ცხადში გამოუვლენელი“ განწყობები შეადგენენ. სიზმარი და საზოგადოდ, ფანტაზიის მოქმედება ავტორის მიერ გაიგება, როგორც არარეალიზებულ ფუნქციათა განხორციელების ასპარეზი. ავტორის გაგებით, სიზმარში ფსიქიკა, ემორჩლება რა ფუნქციონალური ტენდენციის ზეგავლენას, იწყებს არა იძულებით (ანუ გარეშე ძალთა მიერ სტიმულირებულ), არამედ თავისუფალ, სპონტანურ მოქმედებას და თავადვე ქმნის თავის (სასურველ, ან მისთვის რელევანტურ - რ.მ.) ობიექტს. ფანტაზიის როგორც სტიმულს, ისე მის შინაარსს სუბიექტის ფსიქიკურ ძალთა ფუნქციონალური ტენდენცია ანუ, უზნაძისვე სიტყვებით, „ცხადში გამოუვლენელი“ განწყობები შეადგენს (3). დ. უზნაძე მიუთითებს სიზმრის კათარზისულ ეფექტზე - სიზმარი, მისი სპონტანური ბუნებიდან გამომდინარე, ფუნქციონალური ტენდენციის ინტენსივობას ანელებს და ამით, ფსიქიკის თვითრეგულირების კათარზისულ მექანიზმს უკავშირდება; „სიზმარი განწყობის მიმართულებით ჩვენი ფსიქიკის ფუნქციონალური ტენდენციის დამაბულობას ერთგვარად უნდა ანელებდეს“ (3, გვ. 62). წარმოდგენილი მოსაზრებით, ფუნქციონალური ტენდენცია კონკრეტული ინტენციის მქონე განწყობის სახით რეალიზდება, რასაც სიზმრის ფენომენში თან სდევს კათარზისული ეფექტიც.

დ. უზნაძე განწყობას კონკრეტული ინტენციის მქონე ფუნქციონალური ტენდენციის სახით იხილავს, რომელსაც მიმართულებასა და განსაზღვრულობას გარკვეული, ობიექტური პირობები ანიჭებს. სწორედ, ამ უკანასკნელთა ზემოქმედების საფუძველზე დიფუზური, არასპეციფიკური ფუნქციონალური ტენდენცია გარკვეული მიმართულების განწყობად ყალიბდება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შესაბამის ქცევას ასტიმულირებს. ფუნქციონალური ტენდენცია აქტივობის უნივერსალური მიდრეკილებაა (ცხოველებზე ჩატარებულმა, თანამედროვე ემპირიულმა კვლევებმა დაადასტურა აქტივობის მოთხოვნილების ეს უნივერსალობა. კვლევებმა აჩვენა, რომ ორგანიზმი წახალისების,



ჯილდოს, დეფიციტის შემთხვევაშიც ერთგება თამაშისა და ძიებით აქტივობებში), რომელსაც ინტენციას, მიმართულებას კონკრეტული გარემო პირობების ზეგავლენით ფორმირებული განწყობა ანიჭებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. უზნაძის თეორიული მოდელის მიხედვით, ფუნქციონალური ტენდენცია, როგორც უნივერსალური ინსტინქტური მექანიზმი, ფილო და ონტოგენეზის ადრეული საფეხურებისთვისაა დამახასიათებელი. განვითარებული ფსიქიკის ეტაპზე, გარემო პირობების ზეგავლენით, ადგილი აქვს ზოგადი და უნივერსალური ფუნქციონალური ტენდენციის დიფერენცირებას კონკრეტული ინტენციის მქონე განწყობათა სახით. ზრდასრული ადამიანის ქცევა ძირითადად, პრაქტიკულ-პრაგმატულ ხასიათს იძენს. შესაბამისად, ასაკთან ერთად ინტროგენური ქცევების ადგილს ძირითადად, ექსტროგენური ქცევები იკავებენ. თუმცა, ფუნქციონალური ტენდენცია, თავისი პირდაპირი ფორმით (ინტროგენური ქცევების სახით) ამ ეტაპზეც ვლინდება და განწყობის თეორიის ავტორის გაგებით, კათარზისული (ფსიქო-ჰიგიენური ან ფსიქოთერაპიული - რ.მ.) ზემოქმედება შეუძლია სუბიექტის ფსიქიკაზე.

უნდა ხაზი გაესვას ნაშრომის „ადამიანის ქცევის ფორმები“ პრაქტიკულ მნიშვნელობასაც. როგორც აღვნიშნეთ, დ. უზნაძემ, როგორც ქართული ფსიქოლოგიისა და ექსპერიმენტული პედაგოგიკის ფუძემდებელმა, ქცევის ფსიქოლოგია და კლასიფიკაცია სწორედ ბავშვის განვითარებასთან მიმართებაში განიხილა. უფრო სწორედ, ბავშვის განვითარება მის მიერ ქცევის ფორმების ათვისების პროცესთან (ინტროგენური ფორმებიდან - ექსტროგენური ფორმების მიმართულებით) დააკავშირა. ქცევის უზნაძისეულ კონცეპციაში სწავლას, როგორც ბავშვის ქცევის ძირითად ფორმას, ორმაგი ბუნება აქვს; ის ერთდროულად ექსტროგენურიცაა და ინტროგენურიც; თამაშიცაა და შრომაც. სწავლის, სწორედ, ამ ორმაგობაშია სწავლების ეფექტურობის გასაღებიც; მასში მოსწავლის ფუნქციონალური ტენდენციის (ინტროგენური ასპექტის) როლისა და მნიშვნელობის ზრდითა და პროცესის დადებითი ემოციებით დამუხტვით მატულობს, როგორც დასასწავლი მასალის ათვისების ეფექტურობა, ასევე, მოსწავლის (სტუდენტის) უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა - ათვისების ხარისხიც. შესაბამისად, სწავლის

აღნიშნული, ორმაგი ბუნების გათვალისწინებით, უნდა შემუშავდეს და გამოყენებულ იქნეს ის სტრატეგიები (თამაშით სწავლის სტრატეგიები), რომლებიც სწავლების პროცესში მოსწავლის ფუნქციონალური ტენდენციის ამოქმედებას შეუწყობს ხელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე განათლების დასავლური ფსიქოლოგია და თვით-დეტერმინაციის თეორია (Self-Determination Theory: SDT; E. Deci, R. Ryan, 1975) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლების პროცესში შინაგანი მოტივაციის სტიმულირებასა და მისი სტიმულირებისთვის რელევანტური სტრატეგიების შემუშავებას (8; 16; 17). უფრო მეტიც, სოციალურ ფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხშირმა გარეგანმა წახალისებამ (დაჯილდოებამ) შეიძლება ქცევის შინაგანად მოტივირების უნარის დაქვეითება-რედუცირება გამოიწვიოს (ე.წ. ზე-განმტკიცების ფენომენი overjustification).

ფუნქციონალური ტენდენციის აქტივირება (ინტროგენური ასპექტის ჩართვა ქცევის პროცესში, მასთან დაკავშირებული დადებითი ემოციებით) საზოგადოდ, ნებისმიერი ქცევის (და არა მხოლოდ სასწავლო ქცევის) ეფექტურობისა და სუბიექტის უნარ-შესაძლებლობების რეალიზების ხელისშემწყობი პირობაა. ამავე დროს, ფუნქციონალური ტენდენციის რეალიზებას კათარზული ეფექტი უკავშირდება. ამ თვალსაზრსით, დ. უზნაძის შეხედულებებს საინტერესოდ ეხმიანება ჯ. მორენოს ფსიქოდრამის ფსიქოთერაპიულ მეთოდში აქციონალური შიმშილისა და მოქმედებით-გამოხატვის (acting-out) ფენომენები (14). ამ ფენომენების გააზრებაში, მათ დაკავშირებაში ექსპრესიულ თუ კათარზისულ ფენომენებთან განწყობის ფსიქოლოგიას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.

დ. უზნაძემ შეიმუშავა რა ქცევის კლასიფიკაციური მოდელი, ქცევის ინტროგენური და ექსტროგენური ფორმები ერთიან თეორიულ კონცეპციას, განწყობის თეორიას დააფუძნა. განწყობის ფსიქოლოგიის ავტორმა ქცევის ცალკეული ფორმები მათი ონტოგენეზის, ინდივიდუალური განვითარების კრილში განიხილა და მათი შემუშავებისათვის რეკომენდაციებიც წარმოადგინა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე, დ. (2005). *ბავშვის ფსიქოლოგია და სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია*. თბილისი, საქართველო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. უზნაძე, დ. (1977). *განწყობის ფსიქოლოგია. შრომები* (ტ. 6). თბილისი, საქართველო: მეცნიერება.
3. უზნაძე, დ. (2004) ძილი და სიზმარი. თბილისი, საქართველო: ფავორიტი
4. გერიგი, რ., & ზიმბარდო, ფ. (2009). *ფსიქოლოგია და ცხოვრება*. თბილისი, საქართველო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. Brown, L. V. (2007). *Psychology of Motivation*. New Jersey, NJ: Nova Science Publishers.
6. Deci, E. (1971). Effects of externally mediated rewards on intrinsic motivation. *Journal of Personality and Social Psychology*, 18, 105-115.
7. Deci, E. (1975). *Intrinsic Motivation*. New York, NY: Plenum Publishing Company Limited.
8. Deci, E. L., & Ryan, R. M. (1991). Intrinsic motivation and self-determination in human behavior. In: R. M. Steers & L. W. Porter (Eds), *Motivation and work behavior* (5th ed.). New York, NY: McGraw-Hill, Inc.
9. Izard, C. (1991). *The psychology of emotions*. New York, NY: Plenum.
10. Lepper, M. R., Greene, D., & Nisbet, R. (1973). Undermining children's intrinsic interest with extrinsic reward. *Journal of Personality and Social Psychology*, 28, 129-137.
11. Lepper, M. R., & Greene, D. (2015). *The hidden costs of reward: New perspectives on the psychology of human motivation*. London, UK: Psychology Press.
12. Malone, T. W., & Lepper, M. R. (1987). Making learning fun: A taxonomy of intrinsic motivation for learning. In R. E. Now & M. J. Farr (Eds), *Aptitude. Learning and instruction: Cognitive and affective process analysis*. New York, NY: Erlbaum.
13. Marinak, B. T., & Gambrell, L. B. (2008). Intrinsic motivation and rewards: What sustains young children's engagement with text? *Literacy Research and Instruction* 47, 9-26.
14. Moreno, J. (1946). *Psychodrama* (Vol 1). New York, NY: Beacon.
15. Myers, D. G. (2010). *Psychology: Eighth edition in modules*. New Jersey, NJ: Worth Publishers.

16. Ryan, R. E., & Deci, L. (2000a) Intrinsic and extrinsic motivation. *Contemporary Educational Psychology*, 25(1), 54-67.
17. Ryan, R. M., & Deci, E. L. (2000b). Self-determination theory and the facilitation of intrinsic motivation, social developments and well-being. *American Psychologist*, 55(1), 68-78.
18. Vallerand, R. J. (1992). The academic motivation scale: Measure of intrinsic, extrinsic and a motivation in education. *Educational and Psychological Measurement*, 52(4).
19. Wilson, T. D., & Lassiter, G. D. (1982). Increasing intrinsic interest with extrinsic constraints. *Journal of Personality and Social Psychology* 42(5), 811-819.

## დ.უზნაძე, განათლების საკითხები

### „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“ „ადამიანის ქცევის ფორმები“

#### ქეთევან მაყაშვილი

ნაშრომი „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“ გამოქვეყნებულია 1941 წელს და ქრონოლოგიურად წარმოადგენს დამაკავშირებელ წერტილს განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ ავტორის ადრეულ ნაშრომებსა და ამ პერიოდისათვის უკვე დასრულებული სახით ჩამოყალიბებულ განწყობის თეორიას შორის (უზნაძე, 1941). დ. უზნაძე, როგორც პედაგოგიური პრაქტიკის გაბედული ინოვატორი და ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა ღრმა მკვლევარი, ცდილობს დაიცვას პარიტეტი ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკას შორის: თავი აარიდოს პედაგოგიკის ფსიქოლოგიზაციის ტენდენციას, მაგრამ, ამავე დროს, აჩვენოს ის აუცილებელი ურთიერთკავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს ამ ორ დისციპლინას შორის იმ დათქმით, რომ ფსიქოლოგია გაითვალისწინებს უკვე XIX საუკუნიდან მისდამი გამოთქმულ პრეტენზიებს არა მარტო პედაგოგიკის, არამედ იმ სხვა მეცნიერებების მხრიდანაც, რომლებიც მოვლენების ფსიქოლოგიურ ანალიზში დახმარებას მოელიან, მაგრამ ამ საქმეში ფსიქოლოგიის ეფექტიანობას ვერ ხედავენ.

პრობლემის ამგვარად დაყენებას უკავშირებს ავტორი მსჯელობის ფართედ გაშლას, მისთვის ცენტრალური კონსტრუქტის, *აქტიური სუბიექტის* თაობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ტრადიციული ემპირიული ფსიქოლოგია ხშირად იკვლევს ადამიანის სხვადასხვა სახის პრაქტიკებს (სწავლას, თამაშს, შრომას), მაგრამ არ განიხილავს მათ როგორც აქტიური სუბიექტის პრაქტიკებს, ანუ, არ განიხილავს მათ ისე, როგორადაც ისინი ცხოვრებაში რეალურად არსებობენ. ნაშრომში პედაგოგიკის ამოცანების გადაწყვეტა საცდელ ქვად არის წარმოჩენილი ფსიქიკურ ფუნქციებსა და გარემოს შორის მიმართების აღმწერი, ტრადიციულ ფსიქოლოგიაში მყარად დამკვიდრებული, *უშუალობის პოსტულატის* მართებულების გადასასინჯად. პედაგოგიური პრაქტიკის გაანალიზებით უზნაძე ასკვნის,

რომ ჩვეული პედაგოგიური მცდელობა, მოზარდის აღზრდის პროცესში იმოქმედონ მის ფსიქიკაზე (აღზრდელის კონცენტრირება უშუალოდ აღსაზრდელის აზროვნებაზე, ემოციებზე, ნებელობაზე) შედეგის თვალსაზრისით, მოლოდინებს ვერ ამართლებს. ამდენად, ხსენებული უშუალობის პოსტულატი უსარგებლოა და რიგ შემთხვევებში შეიძლება მავნეც კი იყოს პედადოგოკისათვის.

ავტორის აზრით, ეფექტიანი პედაგოგიური ზემოქმედებისათვის ადამიანის (მოზარდის) მთლიანი, აქტიური სტრუქტურის მოხელთება და შესწავლაა აუცილებელი. ამგვარი სტრუქტურის ფუნქციონირების დეტალურ აღწერას უზნაძე *განწყობის* ცნების დამუშავებით იძლევა. ნაშრომში ავტორი ხაზს უსვამს განწყობის ორგვარ ბუნებას: ა) განწყობას, როგორც სუბიექტის მთლიანობის მახასიათებელს და ბ) განწყობას, როგორც ამ მთლიანი სუბიექტის მზაობას აქტივობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ განწყობის ფსიქოლოგია სუბიექტის (პიროვნების) მთლიანობასა და მის მოქმედებას ერთმანეთისაგან განუყოფელ რეალობად იაზრებს. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ამგვარი მეთოდოლოგიური პლათფორმის არსებობა სრულიად განსაკუთრებულ შესაძლებლობებს აჩენს *აღზრდის, სწავლებისა და განვითარების* პროცესების შესწავლისა და მათი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის. განსაკუთრებული შესაძლებლობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მეთოდოლოგიური პლათფორმის გამოყენებით, ავტორი გვთავაზობს ტრადიციულ ფსიქოლოგიაში ფსიქიკური ფუნქციების შესახებ დაგროვილი ფასეული ცოდნის გამთლიანებას და სისტემურობის ახალ დონეზე გადაყვანას. აღნიშნულის საფუძველს უზნაძე განწყობის ემპირიულად დადასტურებული ფენომენის სპეციფიურ ბუნებაში ხედავს – გარემოსთან ურთიერთობის პროცესში ცვლილება, პირველ ყოვლისა, ხდება განწყობაში, ანუ სუბიექტში, როგორც მთლიანში და არა მის ფსიქიკაში ან ქცევის აქტებში (უზნაძე, 1941). თავის ადრეულ ნაშრომში იგი მიუთითებს დაკვირვებაზე, რომ გამორჩეული, ე.წ. „ღვთით ბოძებული ნიჭით დაჯილდოვებული პედაგოგები ინტუიტიურად სწორედ აღსაზრდელის მთლიან პიროვნებაზე მიმართულ სააღზრდელო პრაქტიკას ახორციელებენ, ანგარიშს უწევენ მოზარდის განწყობისეულ ანტიციპაციებს და თავს აღწევენ აღზრდელისა და აღსაზრდელის მიზანდასახულობათა შეუთავსებლობას“, რომელსაც უზნაძე „აღზრდის ძირითად ტრაგედიას“ უწოდებს (უზნაძე, 1912ა).

პოზიტივისტური ხედვა მკვლევარს აყენებს პრობლემის წინაშე, რომ ამგვარი ინტუიტიური წვდომის მულტიპლიცირება შეუძლებელია, მაშინ, როცა განათლების სისტემას სჭირდება არა ერთი და ორი გენიალური პედაგოგი, არამედ აღმზრდელ- მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კორპორაცია. ამ საკითხთან დაკავშირებით უზნაძეს შემოაქვს აღმზრდელის “ხელობის“ ტერმინი (უზნაძე, 1912ბ). ამ ფორმულირების შემოტანით უზნაძე ხაზს უსვამს ფსიქოლოგიაში დაგროვილი კოლოსალური ემპირიული მასალისა და განწყობის ფსიქოლოგიის სისტემური ხედვის შეჯერების გზით სწავლისა და განსაკუთრებით, აღზრდის საქმეში კონკრეტული ოპერაციონალური სქემების შემუშავების საჭიროებასა და შესაძლებლობას.

დ. უზნაძის განათლებასთან დაკავშირებულ შრომებში იკვეთება კვლევის ერთგვარი სპირალური სტრატეგია – კონკრეტული პრაქტიკული გამოცდილებიდან სისტემურ თეორიულ განზოგადებამდე, რომლის გადამოწმება შემდგომი დაზუსტებისათვის უფრო ვრცელი ემპირიული მასალის შეჯერებით ხდება. ამ თვალსაზრისით, განხილული ნაშრომი ნიშანდობლივია. ამ თეორიული ხასიათის მცირე ზომის ნაშრომს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინ უსწრებდა ბუნებრივი დაკვირვებისა და კვაზი ექსპერიმენტების შედეგთა ამსახველი ნაშრომები. მაგ. „საზოგადოება სინათლის ქალთა სკოლის ანგარიში 1915/16 სასწავლო წელს“. ქალთა სკოლაში წარმართულმა მუშაობამ ახალი, აქტიურ სუბიექტზე დაფუძნებული პედაგოგიური პრინციპებისათვის ფაქტობრივად ექსპერიმენტული ლაბორატორიის ფუნქცია შეასრულა. *კრიტიკული აზროვნების განვითარება, სწავლა სწავლების პროცესის* პრიმატი ფაქტობრივ ცოდნასთან მიმართებით, *კეთებით სწავლების* გამოყენება, სასწავლო პროცესში *ცოდნის გაზიარების სპონტანურობის* უზრუნველყოფა, სწავლის შეფასებასთან ერთად *სწავლისათვის შეფასების* ფართედ დანერგვა, თვითრეგულაციის განსავითარებლად ჰოლისტური მიდგომის საფუძველზე მწყობრი ოპერაციონალური სისტემის ჩამოყალიბება და სხვა, პრაქტიკაში გატარებული პრინციპები, ზუსტად 100 წლის წინანდელ ანგარიშს თითქმის დაუჯერებელ თანამედროვეობას სძენს.

როგორც ფსიქოლოგიის, ისე პედაგოგიკის სფეროში მოღვაწე თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანატოვარი, რომელიც უზნაძემ

ორმოციან წლებში, თავისი სიცოცხლის ბოლო ათწლეულში შექმნა. „ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში“ გაქდერებული ფრაზა: “თავად განწყობის ცნებას აქვს განსაკუთრებული პედაგოგიური მნიშვნელობა, იმდენად განსაკუთრებული, რომ მომავალში, ალბათ, ის პედაგოგიკის ერთერთერთ ფუნდამენტალურ ცნებად გადაიქცევა“ ავტორმა გასააზრებლად მხოლოდ მომავალ თაობებს არ დაუტოვა. სწორედ ბავშვის განვითარებისა და სწავლა– აღზრდის საკითხების დასამუშავებლად, მან განწყობის ფსიქოლოგიისათვის დამატებით ცნებათა წყვილი, *ფუნქციობის ტენდენცია და ასაკობრივი გარემო* შემოიტანა (უზნაძე, 1947). ამ ორი ცნების ურთიერთმიმატებაში დამუშავებით უზნაძე აქტიური სუბიექტის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების *კოინცინდენციის* პრინციპის დამუშავებას აგრძელებს. განწყობის თეორიის ამგვარად გაფართოებულ მოდელში ზოგჯერ განწყობის სუბიექტური ფაქტორი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს არა რაიმე ობიექტის მოთხოვნილებით, არამედ აქტივობისათვის მზადყოფნის მქონე შინაგან ძალთა სისტემით ე.წ. ფუნქციობის ტენდენციით, რომელიც გარე იძულებისაგან თავისუფალ ქცევის ფორმებს (თამაში, მხატვრული შემოქმედება, გართობა და ა.შ.) წარმოშობს. მათ უზნაძე ინტროგენულ ქცევის ფორმებს უწოდებს. ასაკობრივი გარემო, როგორც გარკვეული ასაკისათვის სავალდებულო ქცევის ფორმების განმსაზღვრელი კონსტრუქტი, კომპლიმენტარულ დამოკიდებულებაშია ქცევის ინტროგენულ ფორმებთან – ბავშვის ის მომწიფებული ძალები, რომელთაც ასაკობრივი გარემო სავალდებულო, სერიოზული, ექსტროგენული ქცევისათვის არ ააქტივებს ინტროგენული ქცევის სახით ვლინდება. ინტროგენული და ექსტროგენული ქცევის ფორმების გამოყოფა მეტად სპეციფიურ ვითარებას ქმნის სწავლის ქცევასთან დაკავშირებით.

ის, რომ უზნაძის ხედვით სწავლა გარდამავალ ქცევის ფორმას წარმოადგენს ინტროგენულსა და ექსტროგენულ ქცევის ფორმებს შორის, კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს სწავლის, როგორც ქცევის ფორმის ფსიქოლოგიურ სპეციფიურობაზე. სწავლა ინტროგენული ქცევის ფორმების მსგავსად, ფუნქციის განვითარებაზე არის ორიენტირებული, რაც ფუნქციის მომწიფებულობასა და მიწოდებულ მასალას შორის შესატყვისობას გულისხმობს. მაგრამ, სწავლის შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა ნატურალურ შესატყვისობასთან, როგორც ეს თამაშის დროს ხდება, არამედ კულტურულ



შესატყვისობასთან, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიწოდებული მასალის შინაარსობრივი დამუშავების მიმართ მოითხოვს. სავარაუდოდ, უზნაძე გვიჩვენებს მასალის მიმართ აღნიშნული ყურადღება განსაკუთრებით გამოგვიჩინა მკვეთრი კულტურული ცვლილებების ეპოქაში, რადგან, მისი აზრით, ფუნქციური სისტემების კომპლექსები თავად ატარებენ კულტურის თავისებურებების დას და ამით სწავლის ქცევის ინტროგენული ასპექტის რეალიზაციას უწყობენ ხელს. რაც შეეხება სწავლის ქცევის ექსტროგენულ ასპექტს, ანუ იმას, რასაც ასაკობრივი გარემო, ანუ სასკოლო სისტემა უნდა მოითხოვდეს სასწავლო ქცევის სუბიექტისაგან, არის ის, რომ მას ქონდეს ცოდნის შექმნის, ან უნარის განვითარების მოთხოვნილება და ამის საფუძველზე ახდენდეს სწავლის პროცესის *ობიექტივაციას*, და არა იძენდეს ცოდნას, ან ინვითარებდეს რომელიმე კონკრეტულ უნარს, როგორც საშუალებას სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული კრიტერიუმის გათვალისწინებით და იმდროინდელ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით სკოლისათვის მზაობის ასაკად უზნაძე შვიდ წელს მიიჩნევს (უზნაძე, 1948). ნაშრომი „ძირითადი ინტერესები სასკოლო ასაკში“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ემპირიული ხასიათის კვლევას წარმოადგენს. ავტორი ინტერესდება დაწყებით სასკოლო ასაკში ინტელექტუალური ფუნქციის, როგორც წამყვანი ფუნქციობის ტენდენციის ექსპერიმენტული შესწავლით და რამოდენიმე წყაროს მონაცემთა შეჯერებით ასაბუთებს თავისი მოსაზრების სანდოობას. სწავლის, როგორც ქცევის ფორმის ნიუანსირებული თეორიული ანალიზის გაგრძელება საკითხთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემების შეგროვებით სხვადასხვა წყაროებიდან დ.უზნაძის მიერ დამკვიდრებული კვლევითი ტრადიციის კარგი მაგალითია.

ზოგადად, განწყობის ფსიქოლოგიის ნომოთეტური პლატფორმა, მისი ძირითადი სამუშაო კონსტრუქტების ბუნების გათვალისწინებით, ერთდროულად საჭიროებს და იძლევა შესაძლებლობას არამარტო გაგრძელდეს განწყობის სკოლის ფარგლებში არსებული კვლევითი სტრატეგიების გამოყენება, არამედ დაიწყოს შერეული კვლევის სხვადასხვა დიზაინით ახალი ტიპის მონაცემების გამოვლენა/დაგროვება, რაც სარგებელს მომტანი იქნება ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში (როგორც ზოგადში ისე სპეციალურში) უზნაძის მიერ წამოჭრილი და დღესაც აქტუალური საკითხების დაზუსტებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე, დ. (1912ა). *აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა*. განათლება, 6, 428-438.
2. უზნაძე, დ. (1912ბ). *ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი*. ქუთაისი, საქართველო: სტამბა „ძმობა“.
3. უზნაძე, დ. (1941). *განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები*. თბილისი, საქართველო: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. უზნაძე, დ. (1947). *ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია*. თბილისი, საქართველო: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. უზნაძე, დ. (1948). *სასკოლო ასაკის დაწყების პრობლემისათვის. წიგნში ფსიქოლოგია* (ტ. 2). თბილისი, საქართველო: საქართველოს (სსრკ) მეცნიერებათა აკადემია, უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

# გამოცდილებაში არსებული შინაარსების არაცნობიერი გავლენა აქტუალურ სიტუაციაზე („პრაიმინგი“) და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია

## დალი ფარჯანაძე

თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებობს პრობლემები, რომლებიც მიუხედავად აღწერით დონეზე კარგად დადგენილი ფაქტებისა, ფსიქოლოგიის ფუნდამენტური პოზიციიდან ახსნის დეფიციტს განიცდიან. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას წარმოადგენს “პრაიმინგი” - წარსული გამოცდილების არაცნობიერი გამოვლენის და ქცევაზე ზემოქმედების ფორმა. გავრცელებული შეხედულებით, პრაიმინგის ცნებაში იგულისხმება ის ეფექტი, ის შედეგი, რაც იმპლიციტური მეხსიერების ამოქმედებას მოყვება. ბედლის განსაზღვრებით, პრაიმინგი ეწოდება ქცევის ან ქცევის რომელიმე პარამეტრის ცვლილებას, რომელსაც წარსული გამოცდილების გავლენით, პიროვნებისგან დამოუკიდებლად, მისი ცნობიერების ჩარევის გარეშე აქვს ადგილი (Baddeley, 1997). ცნება „პრაიმინგი“<sup>1</sup> შედარებით ახალი ცნებაა, თუმცა, როგორც ფაქტი, თავისი შინაარსით, სულაც არ არის ახალი.

ის, რომ მეხსიერება თავისი არსით უშუალოდ არის დაკავშირებული არაცნობიერთან მეხსიერების ფუნქციის ზედაპირული აღწერაც მოწმობს - ლატენტურ მდგომარეობაში არსებული მეხსიერება სხვა არაფერია, თუ არა არაცნობიერში შენახული შინაარსები. ჯერ კიდევ 1905 წელს ჰერინგი წერდა: „სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ მეხსიერება ცნობიერების უნარი კი არ არის, არამედ უფრო არაცნობიერისა. ის, რაც ჩემთვის გუშინ ცნობიერი იყო და დღესაც ცნობიერია, სად ინახებოდა ამ დროის განმავლობაში? ის ხომ ცნობიერებაში გუშინდელს შემდეგ არ გვქონდა, მაგრამ ახლა ისევ დაბრუნდა, დაგვიბრუნდა მცირე ხნით, ამოვიდა ცნობიერების სცენაზე, რომ ისევ კულუარებში გაუჩინარდეს. იმათ შორის, რაც მე დღეს ვარ და რაც გუშინ ვიყავი, არის ცნობიერებისგან

---

<sup>1</sup> პრაიმინგის საკვლევ ექსპერიმენტში პრაიმინგის ორ კომპონენტს გამოყოფენ - პრაიმს ანუ სტიმულს, და მიახსნ ანუ ტაგეტს. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სიტუაციაში ადამიანმა შეიძლება ვერც შეამჩნიოს პრაიმის არსებობა, მაგრამ ექსპერიმენტულ სიტუაციაში ის აუცილებელია, რათა მისი მოქმედების შედეგი - ხელოვნურად იქნეს გამოწვეული.

დაცლილი უკუნეთი. მხოლოდ მეხსიერება სდებს ხიდს ჩემს დღევანდლობასა და გუშინდელ დღეს შორის. ამდენად, ერთი ბოლო თოკისა, რომელიც ცნობიერებამდეა გაჭიმული- არაცნობიერშია“ (Hering, 1905).

მეხსიერების არაცნობიერი ფორმების კვლევა შეიძლება ითქვას, რამდენიმე მიმართულებით წარიმართა; პირველი მიმართულების ხსენებისას, რა თქმა უნდა გვერდს ვერ ავუვლით ფროიდის თეორიას და მის მიერ მეხსიერების ინტერპრეტაციას, (რომელიც მოტივაციური არაცნობიერის სახელითაა ცნობილი და კოგნიტური ფსიქოლოგიისთვის ნაკლებ საინტერესო აღმოჩნდა), ხოლო მეორე მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ებინგჰაუსი, რომელმაც მეხსიერების ფორმების კლასიფიკაციაში ცნობიერი მეხსიერების ფორმების გვერდით მეხსიერების მესამე ფორმად მეხსიერების არაცნობიერი ფორმა გამოჰყო და მისი არსებობა შესაბამისი მეთოდითაც (ეკონომიის მეთოდი) დაადასტურა. (მეხსიერების ამ ფორმას შეხტერის შემდეგ იმპლიციტური მეხსიერება ეწოდა). ამით მითი, რომ ებინგჰაუსს მხოლოდ ცნობიერი მეხსიერება აინტერესებდა, მოიხსნა და სწორედ ეს ბოლო ფორმა გახდა განსაკუთრებით საინტერესო რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ჩამოყალიბებული კოგნიტური ფსიქოლოგიისთვის. ხოლო ის, რომ იმპლიციტურ მეხსიერებას ქცევაზე არაცნობიერი ზემოქმედების და შეცვლის უნარი აქვს (დღევანდელი სახელწოდებით - პრაიმინგი) 1911 წელს ცნობილმა შვეიცარელმა ფსიქოლოგმა და ფსიქიატრმა კლაპარედმა ამნეზიით დაავადებული პაციენტის მაგალითით ცხადხყო (Claparède, 1911). შემდგომ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ამ მიმართულებით კვლევა თითქმის შეწყდა და განახლდა 80-იან წლებში, ვორინგტონისა და ვაისკრანცის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევით, როდესაც აღმოჩნდა, რომ ამნეზიით დაავადებულებს ინფორმაციის ხანგრძლივ მეხსიერებაში გადატანის ფუნქცია კი არ აქვთ დაზიანებული, როგორც მანამდე ვარაუდობდნენ, არამედ ექსპლიციტური მეხსიერება აქვთ დარღვეული (Warrington & Weiskrantz, 1968). მეხსიერების თანამედროვე თეორიები, იქნება ეს ნეირომეცნიერებაში პოპულარული მეხსიერების მრავალსისტემური თეორია, გადამუშავების დონეების თუ რუმელხარტის კონექციონისტური მოდელი, მიუხედავად მათი, უდაოდ, საინტერესო მიგნებებისა, მეხსიერების პროცესების კანონზომიერებების

ასახსნელად, საკმარისი არ არის წარსულის ქცევაზე გავლენის სრული სურათის წარმოსადგენად და ასახსნელად.

პარალელურად ხდება პრაიმიინგის ყოველდღიურ შემთხვევებზე დაკვირვება, აღრიცხვა და ეკოლოგიურად ვალიდური ექსპერიმენტული მასალის მოპოვება. პრაიმიინგის გამოვლენის არეალი უზარმაზარია - იგი როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ გავლენას ახდენს ცალკეული ფსიქიკური პროცესების (აღქმა, მეხსიერება, გრძნობები) მიმდინარეობაზე, პრობლემის გადაწყვეტაზე, სოციალურ ურთიერთობებზე; ბოლო წლებში მკვლევართა ყურადღებამ მკვეთრად გადაინაცვლა პრაიმიინგის ფაქტების გამოვლენაზე სოციალურ კოგნიციის სფეროში და ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე. ავტორების კვლევებში პრაიმიინგის საინტერესო ექსპერიმენტული ფაქტებია დაგროვილი სტერეოტიპების და ატიტუდის სფეროში. მოპოვებულია მასალები კულტუროლოგიური გავლენებისა (Mindadze, 2018). ამავე დროს, ისევე, როგორც ბარგი, სხვა მკვლევრებიც აღნიშნავენ, რომ ყველა ამ ფაქტს თეორიული, კონცეპტუალური გააზრება აკლია (Bargh, 2006). სწორედ იმიტომ, რომ პრაიმიინგის მოვლენა ასეთი ხშირია, და რომ მას დრამატული გავლენის მოხდენა შეუძლია ჩვენს ქცევაზე, მნიშვნელოვანია იმ ფსიქოლოგიური მექანიზმის დადგენა, რომელიც საფუძვლად უდევს წარსული გამოცდილების გავლენას სუბიექტის ქცევაზე.

ეს საკითხი კი უფრო ფართო პრობლემაა, ვიდრე მხოლოდ მეხსიერების. როგორ ფართოდაც არ უნდა განვიხილოთ მეხსიერების ცნება, რომელსაც მართლაც უზარმაზარი როლი აქვს ფსიქიკური სინამდვილის მიმდინარეობასა და განსაზღვრაში, საკითხი, თუ როგორ ხდება ფსიქიკაში სინამდვილის ასახვა და რა ფორმით ინახება გამოცდილება არაცნობიერში, რა არის ის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქცევაში სწორედ იმ ინფორმაციის ჩართვას აქტუალური ამოცანის გადაწყვეტის დროს ან უბიძგებს ადამიანს ამა თუ იმ ქცევის განხორციელებას, რომლის არსებობის შესახებ (ინფორმაციის) ადამიანმა ცნობიერად არაფერი იცის, (მაგრამ არაცნობიერ დონეზე „ცნობილი“ და ანტიციპირებულია) - ვერც ერთი ზემოთმოყვანილ მეხსიერების თეორია ბოლომდე ვერ ხსნის. მეხსიერების თანამედროვე თეორიების ამოცანა მხოლოდ

მეხსიერების, როგორც შედარებით დამოუკიდებელი ფსიქიკური პროცესის მიმდინარეობის ახსნაზეა მიმართული. ფაქტების ახსნის დონეზე მართლაც საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული და შესაბამისი მოდელები წარმოდგენილი. პროტოტიპების მოდელი, თვისებების, აქტივაციის და სხვა მოდელები შესაბამის ფაქტობრივ მასალას, მართლაც, შეესაბამება და თითოეული მათგანი ფსიქიკის, როგორც ასეთის გამოვლინების მრავალფეროვნებას უსვამს ხაზს. მაგრამ, ყველა ამ გამოვლინების უკან უნდა იდგეს ფსიქიკის ზოგადფსიქოლოგიური მეთოდოლოგიური თეორია, თეორია, რომელსაც სინამდვილის ფსიქიკაში ასახვის შესაძლებლობები, მისი მექანიზმი და სპეციფიკა აინტერესებს და რომელიც გააერთიანებდა და ერთ სისტემაში მოაქცევდა ფსიქიკური პროცესებისა და მათი ქცევაში გამოვლენის მიზანს, არსს და მექანიზმს. გარდა ამისა, მეხსიერების ბოლოდროინდელი თეორიებიდან, მაგალითად, აქტივაციის და მისგან განვითარებული კონექციონიზმის თეორიები ნერვული სისტემის ანალოგიის საფუძველზე შექმნილ მოდელს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე ფსიქოლოგიურ კონცეფციას.

ბარგი (Bargh, 2006), სოციალურ კოგნიციაში კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორი წერს, რომ დროა გამოვიდეთ ბავშვობის ასაკიდან (იგულისხმება ფაქტების დაგროვების პერიოდი) და ვეძებთ პასუხი კითხვებზე - 1) რა არის პრაიმინგის მრავალფეროვანი სახით მოქმედების მიზეზი (იგულისხმება ფსიქოლოგიური სისტემების მრავალფეროვნება - გავლენა აღქმაზე, მოტივაციაზე, ქცევაზე, შეფასებაზე), და 2) როგორ მოქმედებს ის ადამიანის ქცევაზე ისე, რომ თვითონ ადამიანმა ამის შესახებ არაფერი იცის. ბარგმა კიდევ უფრო დააკონკრეტა ეს კითხვები და შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: ექვემდებარება თუ არა პრაიმინგი კონტროლს? რა კავშირი აქვს ცნობიერ, განზრახვით მართულ ქცევებთან? როგორ არის შესაძლებელი, რომ ერთსა და იგივე სტიმულს (პრაიმს) თვისობრივად ასეთი განსხვავებული შედეგები ჰქონდეს? თუ ერთდროულად ორ პარალელურად მიმდინარე პრაიმინგთან გვაქვს საქმე, როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთთან? მათ შორის კონფლიქტის შემთხვევაში რომელი „იმარჯვებს?“ რა შემთხვევებში ხდება პრაიმინგის უფრო ადვილად აღმოცენება? რა უწყობს ამას ხელს? შესაძლებელია, რომ ინდივიდუალური განსხვავებები გავლენას ახდენდეს პრაიმინგზე?

ამ საკითხის გადაწყვეტას ზოგადფსიქოლოგიური მეთოდოლოგიური პოზიცია სჭირდება, რომელიც, თავის მხრივ, უნდა აღიარებდეს, რომ მოქმედებს არა ცალკეული ფუნქცია, არამედ მთლიანი პიროვნება; აღიარებდეს ფსიქიკურის განვითარების პრინციპს და ცნობიერებამდელი ასახვის საფეხურებს. ინტერაქციის პროცესში უნდა უშვებდეს არაცნობიერ დონეზე ასახვის სპეციალური ინსტანციის და შესაბამისი (არაცნობიერი) შესაძლებლობების არსებობას.

სტატიის ფორმატის შეზღუდულობის გამო, პრაიმინგთან დაკავშირებული პრობლემებიდან მხოლოდ ზოგიერთს შევხები და ვეცდები, განვიხილო ისინი დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე. პირველ რიგში, შევხები საკითხს, თუ რა სახით შეიძლება არსებობდეს წარსული გამოცდილება არაცნობიერ დონეზე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მიზანშეწონილი ჩართვა სუბიექტისთვის აქტუალურ გარემოში. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის (რომელიც ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ფართო ფსიქოლოგიური საზოგადოებისთვის საკმარისად არ არის ცნობილი). ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება არის სუბიექტის, როგორც ობიექტურ სინამდვილესა და ფსიქიკას შორის გამაშუალებელი ინსტანციის გაგება. სუბიექტის ცნება ახალი არ არის ფსიქოლოგიაში, მაგრამ უზნაძემ სუბიექტის ცნება ახალი შინაარსით დატვირთა. მისთვის სუბიექტი არ არის ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა უბრალო ერთობლიობა, რადგან ასე გაგებული სუბიექტის შემთხვევაში მეხსიერება მთლიანი პიროვნების ფუნქცია კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ფუნქციაა თავისი მექანიზმით. დ. უზნაძისთვის კი ნებისმიერი ზემოქმედება ორგანიზმზე და მასზე პასუხი ყოველთვის გაშუალებულია ერთიანი ინსტანციით. ასეთი ინსტანცია მთლიანი, ცოცხალი სუბიექტია, ხოლო მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ზემოთქმული ხორციელდება, არის განწყობა.

განწყობის ცნებაში ფსიქოლოგიაში ფართოდ გამოყენებული ამ ცნების სხვადასხვა მნიშვნელობებისგან (Attitude, Set, Einstellung, Ustanovka) განსხვავებული შინაარსია ჩადებული. განწყობის ცნების დახასიათებისას მივყვით უზნაძის ლოგიკას: ცოცხალი არსება ინდიფერენტულია გარემოსადმი მანამ, სანამ მას მოთხოვნილება არ გაუჩნდება.

მაგრამ, როგორც კი მოთხოვნილება გაჩნდება, გარემოდან მასზე სწორედ იმის ზემოქმედება ხდება, რამაც მისი მოთხოვნილება შეიძლება დააკმაყოფილოს. მ.შ. გარემო იქცევა მისი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ სიტუაციად. ეს სიტუაცია მოქმედებს არა რომელიმე ცალკეულ ფუნქციაზე, არამედ სუბიექტზე, როგორც მთელზე. მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის თანხვედრის შედეგად სუბიექტში იქმნება სპეციფიკური მთლიანი მდგომარეობა - განწყობა.

განწყობა გაუცნობიერებელი მდგომარეობაა, სადაც პირველად ხდება ცოცხალ ორგანიზმში სინამდვილესთან ურთიერთობის ასახვა და მომავალი, მიზანშეწონილი ქცევისთვის მომზადება. განწყობაში ხდება სუბიექტის ფიზიკური და ფსიქიკური ძალების მობილიზება შესაბამისი ქცევის განსახორციელებლად. როგორც ვხედავთ, განწყობა არის ქცევისადმი მზაობა, მისი ძრავი, რომელიც ესწრაფვის რეალიზაციას. ეს ქცევა განწყობაში უკვე წინასწარ არის ანტიციპირებული. შესაბამისი განწყობის გარეშე ვერანაირი ქცევა ვერ განხორციელდება. განწყობაში უკვე არსებობს მომავალი ქცევის მონახაზი. ამრიგად, „ადამიანის ქცევა შეიძლება აქტივირებული იქნეს მისი ცალკეული შემეცნებითი, ემოციონალური და ნებელობითი აქტების გარეშე. იგი შეიძლება აქტივირებული იქნეს მისი განწყობის საფუძველზე, რომელიც გამოხატავს არა რომელიმე ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციას, არამედ მთელი სუბიექტის, როგორც ასეთის, მდგომარეობას“ (უზნაძე, 1977, გვ. 271).

რადგანაც განწყობა ლატენტურ -არაცნობიერ ცვლადს წარმოადგენს, მასზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. საკითხი, როგორ შეიძლება ამ არაცნობიერი მოვლენის ექსპერიმენტული შესწავლა, დ. უზნაძემ მარტივად და ორიგინალურად გადაჭრა: მან შეძლო ისეთი ექსპერიმენტული მეთოდის შემუშავება, სადაც განწყობის არსებობა თვალსაჩინო რეაქციის სახით ვლინდება. ამ ცდებში, რომელიც ფიქსირებული განწყობის მეთოდის სახელითაა ცნობილი, ცდის პირს ერთი და იგივე ქცევის (ჰაპტურ სფეროში მარჯვენა დამარცხენა ხელით არატოლი, დიდი და პატარა ბურთების შეფასების) მრავალჯერადი განმეორების შედეგად, ე.წ. საგანწყობო ცდებში, უფიქსირებენ დიდი და პატარა ბურთის მიმართ აღმოცენებულ განწყობას, რომელიც სიტუაციის სათანადო



შეცვლისას კრიტიკულ ცდებში ტოლი მოცულობის მიწოდებისას იწვევს არაადექვატურ - ილუზორულ ქცევას. ცდის პირს ტოლი ბურთები არატოლად ეჩვენება.

ის, რომ განწყობა მთლიანპიროვნულ და არალოკალურ მოვლენას წარმოადგენს, კარგად ჩანს ჰიპნოტურ მდგომარეობაში ჩატარებული განწყობის ცდების შედეგების ანალიზისას. ჰიპნოტურ მდგომარეობაში საფიქსაციო ცდების ჩატარების შემდეგ ცდის პირს უბრძანეს ყველაფრის დავიწყება. მიუხედავად იმისა, რომ ცდის პირს არაფერი ახსოვდა ექსპერიმენტის შესახებ, კრიტიკულ ცდაში ის ტოლ ბურთებს ფიქსირებული განწყობის შედეგად არატოლად აღიქვამდა. განწყობის მთლიანპიროვნულ ხასიათზე განწყობის სხვა თვისებებიც, მაგალითად, ირადიაციის თვისებაც მიუთითებს - ერთ სფეროში, მაგალითად ჰაპტურ სფეროში გაფიქსირებული განწყობა ვლინდება ოპტიკურ სფეროში და პირიქით.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ განწყობა იქმნება ქცევის განმეორების შედეგად. ამ აზრს იცავს ფსიქოლოგთა ნაწილი (Luchins, 1942). უზნადის თეორიის მიხედვით კი, ქცევა არ შეიძლება წინ უსწრებდეს განწყობას, რადგან განწყობა თვითონ წარმოადგენს ქცევის საფუძველს. განწყობის საკვლევ ექსპერიმენტებში ქცევის განმეორება არის საშუალება, ხერხი, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვაფიქსირებთ ჩვენთვის საინტერესო განწყობას. ხოლო შედეგად აღმოცენებული ილუზია საშუალებას გვაძლევს „დავინახოთ“, დავადასტუროთ სწორედ არაცნობიერად არსებული კონკრეტული ქცევის განწყობის არსებობა. ამრიგად, გამოიკვეთა განწყობის ორი სახე - პირველადი განწყობა და მეორადი (ფიქსირებული) განწყობა. განმეორების შემთხვევაში, პირველადი განწყობა ფიქსირებული განწყობის სახეს იღებს და ლატენტურ მდგომარეობაში გადადის. სათანადო პირობებში კი იგი აქტუალიზირდება და შესაბამის აქტივობას წარმართავს. განწყობის მრავალწლიანი ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფიქსირებული, ილუზორული აღქმიდან ადექვატურ აღქმაზე გადასვლა რამდენიმე ფაზას-სტადიას შეიცავს, რომელიც ინტერინდივიდუალურად განსხვავებულია. ეს სტადიები ვლინდება ამ კონტრასტული, ასიმეტრიული ილუზიებისა და ადექვატურ აღქმათა სხვადასხვა სახის მონაცვლეობაში საბოლოოდ ადექვატურ აღქმაზე გადასვლამდე.

ზოგიერთი მკვლევარი, იგივე ლაჩინსი, განწყობას ქცევის შემაფერებლად აცხადებს, რადგან იგი სიტუაციისთვის არაადექვატურ ქცევას განაპირობებს. ლაჩინსის ცდებში ფიქსირებული განწყობა აფერხებდა, ან სრულიად გამორიცხავდა ამოცანის გადაწყვეტას (Luchins, 1942; Luchins & Luchins, 1959). უზნადის პოზიციისთვის კი ეს სავსებით გასაგებია, რადგან, რამდენადაც განწყობა ქცევის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს, ჩვეულებრივ ქცევის აქტში იგი არც კი იჩენს თავს. განწყობის მოქმედების შემჩნევა მხოლოდ მაშინ ხერხდება, როდესაც იგი კონფლიქტში მოდის შეცვლილ სიტუაციასთან და განაპირობებს არაადექვატურ ქცევას. ამის საილუსტრაციოდ ა. ფრანგიშვილს მოჰყავს ასეთი მაგალითი: კიბეზე მიმავალი ადამიანი წაბორძიკებს, თუ ერთ საფეხურს მოვაშორებთ. ყველა საფეხური რომ ადგილზე ყოფილიყო, ქცევა ისე დასრულდებოდა, რომ განწყობა არც კი გამომჟღავნდებოდა. მაგრამ როდესაც განწყობა კონფლიქტში მოვა შეცვლილ სიტუაციასთან (საფეხურის მოშორების შემთხვევაში) იგი თავს იჩენს სუბიექტის არაადექვატურ ქცევაში (წაბორძიკებაში) (Prangishvili, 1967).

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რაც გათვალისწინებულია უზნადის თეორიაში, არის ის, თუ რა ფსიქიკური რესურსებით, რა სახით აისახება და შემოდის რეალობა განწყობაში და რჩება არაცნობიერში. უზნადის თეორიის მიხედვით, ობიექტური სინამდვილის ასახვას განწყობის სახით ფსიქიკის განვითარების ყველა საფეხურზე ვხვდებით. მაგრამ თითოეულ ამ საფეხურზე (ადამიანის ჩათვლით) განწყობის სტრუქტურა და მოქმედების კანონზომიერებები განსხვავებულია, რადგან განსხვავებულ და სპეციფიკურ ფსიქიკურ რესურსებს ეყრდნობა. მდიდარი ეთოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად უზნადის მოწაფე დ. რამიშვილი ასკვნის, რომ „ცოცხალი ორგანიზმი ამა თუ იმ გამღიზიანებლის გამოყოფას, პერცეპტული პროცესის ცენტრში მოქცევას და სტიმულის ფუნქციას შეასრულებს მხოლოდ გარკვეულ მიმართებათა სისტემის მოცემულობის შემთხვევაში (Ramishvili, 1978). გენეტიკურად ადრეულ სისტემებს წარმოადგენენ დროით და სივრცით მიმართებებზე აგებული სისტემები, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში *hic at nun* მოქმედებენ; (ავტორს მოჰყავს ფოლკელტის მიერ მოყვანილი მაგალითი, როდესაც ობობა თავისი ქსელის გარეშე ვერ ცნობს ბუზს და შიშსაც კი გამოხატავს მის მიმართ). ლოგიკურია დასკვნა, რომ შეგრძნების მოდალობები

აქტიურდებიან ამ სისტემის მოცემულობის შემთხვევაში. ყოველ სახეობას მიმართებათა თავისი სიტემები გააჩნია, რომელიც ეხმარება კონკრეტული მოვლენის როგორც სარგებლიანობის ან აუცილებლის, ან საფრთხის შემცველის ასახვაში. მაგრამ, ასახვის ფსიქიკური სისტემები ვითარდება და რთულდება შეცვლილ გარემოსთან შეგუების პროცესში, რაც ახალი სისტემების მოქნილობის და გამრავლების შედეგად ხდება. განწყობის სტრუქტურას სწორედ მიმართებათა ასეთი სისტემები ქმნიან.

ადამიანის დონეზე ორიენტირების წამყვან სისტემას, უზნაძის სკოლის წარმომადგენელთა კვლევის შედეგების მიხედვით, ენა ქმნის. ენაში, სიტყვაში აისახება არა მხოლოდ ობიექტის მნიშვნელობა, არამედ მიმართებათა მთელი სისტემა, დაფიქსირებული ადამიანის როგორც სოციალურ, ისე ინდივიდუალურ გამოცდილებაში. ენაში მუდმივად ფიქსირდება სოციალური გამოცდილება, რომელიც სცილდება ინდივიდუალური არსებობის საზღვრებს, თავისუფლდება კონკრეტულ სიტუაციასთან მიჯაჭვულობისგან და აქტუალურად მოცემული ცნობიერების შინაარსისგან. ის სისტემები, რომელიც ენის საფუძველზე იქმნება, ობიექტური სამყაროს ყველაზე ზოგად მიმართებებს ასახავს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემის ყველა მომენტის გაცნობიერება არ ხდება, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ადამიანის ცხოვრებაში - ახლის ასახვის პროცესში, აქტუალური ამოცანის გადაწყვეტის დროს და ა.შ.

„ჩვენს გონებაში, წერს ჯემსი, მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს ჩვენი იდეების შენარჩუნებისკენ სწრაფვასა და მათი უცვლელი სახით შენარჩუნების სურვილს შორის. ჯემსის მიხედვით, ეს გაცნობიერებული სწრაფვაა“ (James, 1983).

მაგრამ რა გაცნობიერებაზე შეიძლება ლაპარაკი ორი წლის ბავშვთან, როდესაც იგი პირველად დაინახავს რა ფორთოხალს, ამბობს „ბურთი“. სწორედ ეს მაგალითი მიუთითებს წარსული გამოცდილების აღქმაზე გაუცნობიერებელ გავლენასა და ენის მნიშვნელობაზე. წარსული გამოცდილება ბავშვის ცნობიერებაში სიტყვა „ბურთით“ არის წარმოდგენილი. ფორთოხლის პირველად დანახვისას, იგი გარკვეული ნიშნების საფუძველზე აიგივებს მას ბურთთან. ხომ ვერავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ

ბავშვთან ეს გაიგივება არის ფორთოხლის და ბურთის თვისებების ცნობიერი დაპირისპირების თუ განხილვის შედეგი!

ან, მეორე მაგალითი: როდესაც ადამიანი ერთნაირად ფლობს ორ ენას, ვთქვათ, ქართულს და რუსულს, ის უცნობ ადამიანს დაელაპარაკება მათი გარეგნობის (სიტუაციის ) შესატყვის ენაზე, მაშინაც კი, თუ ცნობიერად არ უფიქრია იმაზე, თუ რა ენაზე დაელაპარაკოს. საგულისხმოა, რომ ცნობიერებაში მხოლოდ შესატყვისი ენის სიტყვები და ენობრივი ფორმები ამოტივტივდება, თუმცა, შეგნებულად ის ამ სიტყვებს არ ეძებს. ამ ქცევას სათანადო ენაზე მეტყველების განწყობა განსაზღვრავს: დალაპარაკების მოთხოვნილების საფუძველზე სუბიექტი განწყობა იმ ენაზე სალაპარაკოდ, რომელიც მოცემული სიტუაციის აღქმას შეესატყვისებოდა.

ენაში ასახული მიმართებების როლი კარგად ჩანს მეხსიერების თუ დავიწყების ერთ თავისებურ ფორმაში, რომელსაც დღეს „ენის წვერზე მომდგარი სიტყვის „(Tip on tongue“) ფენომენს უწოდებენ, რომელიც ჯერ კიდევ ა. ჩეხოვს იუმორისტულად, მაგრამ დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით აქვს აღწერილი თავის მოთხრობაში „Лошадиная фамилия“. გარკვეული შინაარსი (ჩეხოვის მოთხრობაში ექიმის გვარი) იმდენად დავიწყებული გვაქვს, რომ მისი ზუსტი გახსნება არ შეგვიძლია. ეს შინაარსი (გვარი, უცხო სიტყვა, ანდაზა, წიგნის ან ფილმის სახელწოდება) ცნობიერად აღარ გვაქვს მოცემული, მაგრამ პიროვნებისთვის სავსებით დაკარგული მაინც არ არის. ადამიანმა მაინც იცის, რა სახისაა, რა სფეროს ეკუთვნის ეს „დავიწყებული შინაარსი“. კერძოდ, რომ დავიწყებული გვარი „Лошадиная фамилия“ ცხენტან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, როდესაც დახმარების მიზნით გვაწვდიან სხვა შინაარსებს, ჩვენ ვიცით და ვამბობთ, რომ ეს ის არ არის. სწორედ ეს არის განწყობა, რომელიც ენაში ფიქსირებული მიმართებათა სისტემის სახით არის წარმოდგენილი და ამ სახით არსებობს მეხსიერებაში. ჩეხოვის მოთხრობის გმირი გრძნობდა და ამბობდა, რომ დავიწყებული გვარი ცხენტან იყო დაკავშირებული, მაგრამ კატეგორიულად უარყოფდა ცხენტან დაკავშირებულ ყველა გვარს (Жеребцов, Конев, Лошадкин) რომელსაც მას დახმარების მიზნით ეუბნებოდნენ, სანამ არ გაიგონა სიტყვა овес, რომელმაც გაახსენა დავიწყებული გვარი - Овсов.

რამდენადაც „განწყობა არის სუბიექტის, როგორც მთლიანი პიროვნების მოდუსი, ამიტომ, სავსებით დასაშვებია, რომ ცნობიერების შინაარსი, რომლის ფორმირებაც ხდება განწყობის საფუძველზე, გაქრეს, განწყობა კი განაგრძობდეს არსებობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარსული განაგრძობს არსებობას არა კვალის ან არაცნობიერი წარმოდგენების, არამედ განწყობის - მიმართებათა სისტემის სახით“.

ფენომენი, რომელიც პრაიმინგის ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითად არის ცნობილი, თანამედროვე ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აიხნება აქტივაციის თეორიით, რომლის მიხედვითაც ერთი მნიშვნელობის შესაბამისი კვანძის აგზნება იწვევს ამ სიტყვასთან შინაარსის მიხედვით ახლოს მდგომი მრავალი კვანძის გააქტიურებას. აღწერის დონეზე ეს მოსაზრება სავსებით ადექვატურია. მაგრამ ეს ახსნა, როგორც ზემოთ, სტატიის დასაწყისში აღვნიშნავდით, არის ფიზიოლოგიური თუ ნევროლოგიური პროცესის ანალოგი, ხოლო პრაიმინგის ზემოთაღწერილი მაგალითი ფსიქოლოგიურ ახსნას მოითხოვს. ყველგან, სადაც საქმე ეხება შინაარსობრივი მომენტის ასახვას, წინ, აუცილებლობით, გამოდის ფსიქოლოგიური კანონზომიერებები, რომელთა ფუნქციასაც შემეცნებითი ხასიათის ასახვა წარმოადგენს. განწყობის ცნება და განწყობის თეორია სწორედ იმას ემსახურება, რომ ფსიქიკური პროცესებით ახსნას, თუ როგორ ხდება მისგან დამოუკიდებელი და მის გარეთ არსებული ობიექტის ასახვა.

ის, რომ ემოციას განსაკუთრებული როლი ენიჭება სინამდვილის ასახვის პროცესში, დღეს არავისში იწვევს ეჭვს. დ. უზნაძის მიხედვით, პირველად ემოციაში ხდება განცდის სახით განწყობის ასახვა. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ბარტლეტის ატიტუდისა და სქემის ცნება, როდესაც ემოციისმაგვარი მდგომარეობა ეხმარება მის ცდის პირებს აღადგინოს თვეების წინ ექსპერიმენტის დროს წაკითხული მოთხრობა (Bartlett, 1932). ამ ატიტუდის - ემოციური მდგომარეობის საფუძველზე აგებს სუბიექტი წაკითხული მოთხრობის ახალ კონსტრუქციას. თუ გავიხსენებთ ბარტლეტის ამ მოთხრობას, იგი ინდიელების, ინგლისელებისგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის ზღაპარს წარმოადგენს, რომლის დეტალები უცხო და გაუგებარია ინგლისელთა მენტალობისთვის, მაგრამ ისინი ახერხებენ საერთო შინაარსის თავისთვის შესაბამის (თუმცა, მეხსიერების თვალსაზრისით არაზუსტ)

კონტექსტში, უზნაძის სიტყვებით, ენაში არსებულ მიმართებათა სისტემაში ჩართვას. „Лошадиная фамилия“-ს შემთხვევაშიც განწყობა ემოციისმაგვარი მდგომარეობის სახით იჩენს თავს, როდესაც ჩეხოვის ნოველის გმირი „გრნობს“, რომელი გვარი შეესაბამება დავიწყებულ გვარს და რომელი - არა.

დ. უზნაძის თეორია ქცევაზე წარსულის გაუცნობიერებელი გავლენის კონცეპტუალური ანალიზისა და მისი მექანიზმის დადგენისთვის პროდუქტულ და ფსიქოლოგიისთვის პროგრესულ გზას გვთავაზობს, რაც ახალი კვლევების და უკვე არსებულის ახლებური გააზრების საშუალებას მოგვცემს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე, დ. (1977). *განწყობის ფსიქოლოგია. შრომები* (ტ. 6). თბილისი, საქართველო: მეცნიერება.
2. Baddeley, A. (1997). *Human memory: Theory and practice*. Sussex, UK: Psychology Press.
3. Bargh, J. A. (2006). What have we been priming all this years? On the development mechanisms, and ecology of nonconscious social behavior. *European Journal of social Psychology, 36*(2), 147-156.
4. Bartlett, F. G. (1932). *Remembering: A study in experimental and social psychology*. Cambridge University press.
5. Claparède, E. (1911). Recognition et moiite. *Archives de psychologie, 11*, 79-90.
6. Hering, E. (1953). In P. Lersch (ed.), *Der Aufbau der person* (Vol 52), Muenchen.
7. James, W. (1983). *Principles of Psychology*. Harper & Row.
8. Luchins, A. S. (1942). Mechanization in problem solving. In *Psychological monographs* (Vol. 34), Washington, DC: American Psychological Assosiation.
9. Luchins, A. S., & Luchins, H. E. (1959). *Rigidity in behavior - Variational approach to the effect of Einstellung*. Eugene, Oregon: University of Oregon Books.

10. Mindadze, I. (2018). Language and culture. In press.
11. Prangishvili, A. S. (1967). *A study in psychology of set*. Tbilisi, Georgia: Metsniereba.
12. Ramishvili, D. (1978). Unconscious in the context of speech activity. In *The Unconscious*, (Vol. 3). Tbilisi, Georgia: Metsniereba.
13. Warrington, E. K., & Weiskrantz, L. (1968). New method of testing long-term retention with special reference to amnesic patients. *Nature*, 217(5132), 972-974

## დიმიტრი უზნაძე - „ომის ფილოსოფია“

### მარინე ჩიტაშვილი

დიმიტრი უზნაძის ბიოგრაფია მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის მძიმე ქართველებს ემთხვევა. ერიკ ერისკონის პიროვნების განვითარების საფეხურებს<sup>1</sup> თუ გამოვიყენებთ, მისი ადრეული ახალგაზრდობის კრიზისი მსოფლიო კრიზისს ემთხვევა. რუსეთის იმპერიაში დაბადებულს, გერმანიაში განათლება მიღებულს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მომსწრესა და საქართველოში უნივერსიტეტის დამფუძნებელს, მთელი მოწიფული ცხოვრება შინაგან ემიგრაციაში უწევს: მოღვაწეობა საბჭოთა იმპერიაში, რომელიც მისგან იდეოლოგიური პრესის გამო, მოითხოვს ან საკუთარი ნააზრევი იმპერიულ დისკურსს მოარგოს, ან სულაც გაქრეს.

ეს ყველაფერი იწყება მერე, როცა 1921 წლიდან უზნაძე იქცევა რიგით საბჭოთა მოქალაქედ - უპიროვნო „ბედის რჩეული“, რომელიც ბედნიერია [უნდა იყოს, ევალება], რომ საბჭოეთში ცხოვრობს, სადაც „ცხოვრება საამურია და სიცოცხლე მშვენიერი“.<sup>2</sup>

მეოცე საუკუნის ორივე მსოფლიო ომის მომსწრე დიმიტრი უზნაძე პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914 წელს,<sup>3</sup> წერს ესეს - „ომის ფილოსოფია“, თუმცა, მეორე მსოფლიო ომის დროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე არაფერს არ წერს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ხელმისაწვდომია: [http://schad.weebly.com/uploads/1/7/6/9/17693763/erik\\_erikson\\_-\\_eight\\_stages\\_of\\_development\\_-\\_completed.pdf](http://schad.weebly.com/uploads/1/7/6/9/17693763/erik_erikson_-_eight_stages_of_development_-_completed.pdf) - ნანახია 17-10-2017

<sup>2</sup> ეს ფრაზა ვლადიმერ მაიაკოვსკის 1927 წელს დაწერილი ლექსიდანაა „კარგია“ [ხელმისაწვდომია [http://www.foxdesign.ru/aphorism/who/who\\_i.html](http://www.foxdesign.ru/aphorism/who/who_i.html) - ნანახია 17-10-2017], რომელმაც სამი წლის შემდეგ თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე.

<sup>3</sup> უზნაძე დ. ომის ფილოსოფია. წიგნში: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2105. გვ. 213-236. ხელმისაწვდომია: <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/SHTA-V-III.pdf> - ნანახია 17-10-2017

<sup>4</sup> ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები. უზნაძე დ. ხელმისაწვდომია - <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00002711/> - ნანახია 17-10-2017



მწირი მონაცემები მისი ავტობიოგრაფიის შესახებ სრულიად მშრალ ჰომოსოვეტიკუსის მორიგ შტამს აფიქსირებს - არაფერი პიროვნების შესახებ. მხოლოდ საქმიანობის ჩამონათვალი უნივერსიტეტსა და აკადემიაში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და მისი სამეცნიერო მიღწევა - განწყობის თეორია, რომელიც სკოლის სახით არის გაფორმებული მის სიცოცხლეშივე.<sup>5</sup>

საერთოდ არაფერი ადამიანის შესახებ, რომელიც მუშაობდა ანრი ბერგსონსა<sup>6</sup> და ვლადიმერ სოლოვიოვზე,<sup>7</sup> დაწერა შრომები „იმპერსონალია“ და „ენის შინა ფორმა“, წერდა ესეებს და აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში, განათლებით ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და სიჩუმე, ანუ ინერტულობა? ალბათ, ორგინალური აზრი არ არის, რომ დიმიტრი უზნაძის სამოქალაქო სიჩუმე, თუ პირადი ბიოგრაფიის გაქრობა უფრო მდგომარეობებისა და პირობების გამოა და არა მისი ინდიფერენტიზმისა და /ან მსოფლმხედველობის გამო.

*„დაბადებიდანვე დაყოლილი გვაქვს თან ის დანიშნულება, რომელსაც მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვახმაროთ. ... ჩვენი დანიშნულება ღვთისგან დაწყებული საქმის დასრულებაა, ღვთისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების გრძნობაა. და თუ ეს ასე, მაშინ ცხადია, ჩვენს გამუდმებულ ფუსფუსს, დაულალავ შრომას მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენს დროულ ცხოვრებას - დრმა აზრი და ამ უკანასკნელს კიდევ რელიგიური ღირებულება“.<sup>8</sup>*

მნელია იმსჯელო ავტორსა და ტექსტზე, როცა კონკრეტული ადამიანის კონკრეტული მოქმედების დროსა და სივრცეზე ინფორმაცია არ არის, ან ვერ მოიძიე. აქ იმას

<sup>5</sup> Ibid. 4. იგულისხმება ომის ფილოსოფიის მსგავს ესეს. სამხედრო ფსიქოლოგიის მიმართულებით მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომების მეორე ტომი მთლიანად ამ თემატიკას ეხება.

ასევე დიმიტრი უზნაძისა და სხვა მეცნიერთა ინიციატივით თბილისში ჩამოყალიბდა ფსიქონევროლოგიური ევაკოპოსპიტალი - "ფსიქონევროლოგიური ცენტრი". ნანახია 17-10-2017

<sup>6</sup> უზნაძე დ. ანრი ბერგსონი. 1920. ტფილისი, სტამბა "სახალხო საქმე". ხელმისაწვდომია - <http://dSPACE.gela.org.ge/bitstream/123456789/6293/3/anri%20begstoni.pdf> - ნანახია 17-10-2017

<sup>7</sup> ვლადიმერ სოლოვიოვი. ხელმისაწვდომია - <http://www.filosofio.ru/russkaya-filosofiya/filosofiya-vladimira-soloveva.html> - ნანახია 17-10-2017

<sup>8</sup> უზნაძე დ. ომის ფილოსოფია. გვ. 221, 226.

ვგულისხმობ, რომ დიმიტრი უზნაძის შესახებ შემორჩენილი მასალა არ არის მდიდარი ავტორის შესახებ ინფორმაციით,<sup>9</sup> არც ავტორი წერს რაიმეს საკუთარ თავზე და არც მისი მოწაფეები ტოვებენ რაიმე ცოცხალ ისტორიებს მასწავლებელზე. დრო, რომელიც შეიძლება გამოგვეყენებინა და მისი უშუალო მოწაფეების ზეპირი ისტორიებით აღვედგინა, დიმიტრი უზნაძე - როგორც პიროვნება, ასევე გასულია ან წასული. არც ერთი მისი უშუალო მოსწავლე ცოცხალი აღარ არის. მოწაფეთა მოწაფეების მონათხრობი კი იმდენი ფანტაზიით არის გაჯერებული, რომ მისი მოსმენა და მოყოლა სხვა მიმართულებით უფრო წაგვიყვანს, ვიდრე ავტორის შესახებ რეალისტურ სურათს შეგვიქმნის.

შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით, დიმიტრი უზნაძის „ომის ფილოსოფიაზე“ მსჯელობა, რამდენიმე მარტივ სამიზნედ შეიძლება დაიყოს.

პირველი, ეს არის სტატიის შინაარსი, ტექსტი, რომელიც არ ეხება უშუალოდ ფსიქოლოგიას და დაწერილია მაშინ, როცა უზნაძე არ ფიქრობს, როგორც ფსიქოლოგი და წარმატებით მუშაობს ქუთაისის გიმნაზიაში ისტორიის მასწავლებლად.<sup>10</sup>

მეორე, რადგან სტატია ქვეყნდება პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან სულ რაღაც 4 თვეში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის მოაზროვნე ადამიანის რეფლექსია ღიად დარჩენილ კითხვებზე ომზე, სიკვდილზე, ადამიანისა და ერის დანიშნულებაზე, ცხოვრების საზრისზე და მნიშვნელობის შექმნაზე, ადამიანის ქცევისა და მოქმედებების შესახებ ჩვეულებრივ ყოფასა და ექსტრემალურ სიტუაციებში, სუბიექტის, იმავე აგენტის მეტაფიზიკურ და ყოფით რეალობაზე. მისი არგუმენტები ზოგჯერ დამაჯერებელია და ზოგჯერ კი - მიუღებელი ან ყავლგასული, რადგან დღევანდელი სოციალური მეცნიერებების თვალთ დანახული მაშინდელი უზნაძე არაემპირულად დასაბუთებულ

---

<sup>9</sup> აქ კონკრეტულად ვგულისხმობ 1914 -18 წლებს. თუმცა ეს დანაკლისი ეხება მთლიანად უზნაძის ბიოგრაფიას. ასე მაგალითად, ეროვნული ბიბლიოთეკა უთითებს, რომ დ.უზნაძე იყო ფედერალისტების პარტიის წევრი 1917 წლიდან, არ არის მითითებული როდემდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ შემდგომში ნებისმიერი პარტიის წევრობა ნიშნავდა 'სამშობლოს მოღალატეთა' კატეგორიაში მოხვედრას, უნდა ვიფიქროთ, რომ უზნაძე მალავდა ამ წარსულს. სხვაგან არსად არ ფიქსირდება მისი პარტიულობა.

<sup>10</sup> ნინო ჯავახიშვილი დიმიტრი უზნაძის შესახებ. ნაწილი II. ხელმისაწვდომია -

<http://online.iliauni.edu.ge/ka/lecture/dimitri-udznadzis-sheaxe/13/transcript/nawili-i/40> - ნანახია 17-10-2017

მასალას იყენებს საკუთარი მსჯელობისა და დასკვნებისთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის გულწრფელი და მიუკერძოებელი ნააზრევი ადამიანის, რომელიც რელიგიური ფილოსოფიის თვალთახედვიდან ცდილობს იპოვოს მეტაფიზიკურის არსი დღევანდელობაში, ყოფის ანალიზითა და დანიშნულების, თუ ღირებულებების კატეგორიებით.

მესამე, რა ცნებები და მსჯელობები გვხვდება ომის ფილოსოფიაში, რომელიც, ერთი მხრივ, ღირებულია დღესაც და, მეორე მხრივ, რა ცნებები აისახა და განვითარდა უზნაძის, როგორც ფსიქოლოგის, ნააზრევში.

.....

დimitრი უზანძის ესე „ომის ფილოსოფია“ 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში<sup>11</sup> დაიბეჭდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთში „სახალხო ფურცელი“. ესე რამდენიმე ქვეთავად არის სტრუქტურირებული. ესენია: *სიკვდილი, როგორც ბოროტება; მეტაფიზიკური სიკვდილი არ არის ბოროტება; ვლადიმერ სოლოვიოვის ომის ფილოსოფია; ცხოვრების აზრი; პიროვნება და ცხოვრების აზრი; ერი, როგორც ცხოვრების აზრის სუბიექტი; ომის პრობლემა; ერი, როგორც ცხოვრების აზრის სუბიექტი.*<sup>12</sup>

უნდა ვივარაუდოთ, რომ ესე ავტორის რეაქციაა პირველ მსოფლიო ომზე და პარადოქსია, რომ ომის დაწყებიდან ხუთ თვეში უზნაძე გერმანიას დამარცხებას უწინასწარმეტყველებს, რადგან, მისი აზრით, „... დღევანდელი ომი, რომელიც გერმანიის მთავრობამ დაიწყო ... შეტევითი ომია, მაგრამ იმთავითვე აშკარა შეიქმნა, რომ გერმანელთა დამარცხება აუცილებლად მთელი გერმანიზმის დატუქსვითა და და დაქვემდებარებით დამთავრდებოდა“ [გვ. 233-234].<sup>13</sup>

<sup>11</sup> სულ 5 წერილი 27, 28 ნოემბერი, 3,5, 10 დეკემბერი.

<sup>12</sup> უზნაძე ორჯერ ერთნაირად ასათაურებს ესეს ორ ნაწილს. დ. უზნაძე. ომის ფილოსოფია.

<sup>13</sup> დ. უზანაძე. ომის ფილოსოფია.

ესეც თან გასდევს ავტორის შემფოთება და ნეგატიური დამოკიდებულება ომზე. საინტერესოა, რომ უზნადის პოზიცია საპირისპიროა გავრცელებულ დამოკიდებულებასთან მიმართებაში. გადაცემაში „წითელი ზონა“, ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე ამბობს, რომ - *ომს ადამიანები შეხვდნენ აღფრთოვნებით ევროპაში; მათ შორის, თომას მანი და მაქს ვებერი. თომას მანი წერს ევროპის ლაშობის შესახებ და ომს უწოდებს განწმენდას. მაქს ვებერი კი ამბობს, რომ რა დიდი და შესანიშნავი ომი გველის წინ. [სამწუხაროა, რომ მე ვერ მივიღებ მასში მონაწილეობას].*<sup>14</sup>

ლ. ბაქრაძე იმავე თემას ლექციაში „ქართულ-გერმანული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს“ ავითარებს და ამბობს, რომ საქართველოში ომს მიესალმებოდა მხოლოდ მცირე ჯგუფი, რომელიც ამაში ხედავდა რუსეთის იმპერიაში კულტურული და/ან პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებისა და, ასევე რუსეთის დემოკრატიზაციის საშუალებას. უფრო მეტად კი იყო პესიმისტური დამოკიდებულება ომის მიმართ.<sup>15</sup> სამწუხაროდ, ლექციაში არ არის დაკონკრეტებული, ვის ჰქონდა პესიმისტური დამოკიდებულება.<sup>16</sup>

უზნაძე, პირობითად, პესიმისტებს ეკუთვნის, რომლებსაც, ზოგადად, არ მოსწონთ ომი. მისთვის საინტერესოა რა არის ომი, როგორც ყოფის ფორმა, როგორ იძენს ომი მნიშვნელობას და იქცევა ადამიანთა სასაკლაოდ, როცა ამის აუცილებლობა არ არსებობს და, რაც მთავარია, როგორ ხდება ომი ადამიანის და ერის „იმთავითვე მინიჭებული“ მნიშვნელობის განმხორციელებლად.

---

<sup>14</sup> გვახარია გ. წითელი ზონა. პირველი მსოფლიო ომი - 100 წლის შემდეგ. სტუმარი ლაშა ბაქრაძე. ისტორიკოსი. ხელმისაწვდომია - <https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/25478072.html> 02.08.2014. ნანახია 17-10-2017.

<sup>15</sup> ბაქრაძე ლ. „ქართულ-გერმანული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს“. საჯარო ლექცია. ხელმისაწვდომია - <https://www.youtube.com/watch?v=KbacWQaoktA> - ნანახია 17-10-2017

<sup>16</sup> უზნაძეს თავისი ესეთი ნადმვილად უფრო პესიმისტების კატეგორიას ეკუთვნის ანუ იმათ, ვინც ომს არ მიესალმა. თუმცა ეს არ არის გამოწვეული ავტორისთვის მხოლოდ ჰუმანისტური და პაციფისტური მოტივებიდან „არა კაც ჰკლა“, არამედ ის ცდილობს გაიგოს, რატომ ირღვევა მეტაფიზიკური წესრიგი და იწყება ომი. , როგორც ყოფის ფორმა, იძენს მნიშვნელობას და იქცევა ადამიანთა სასაკლაოდ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს.

უზნაძე ცდილობს პასუხი გასცეს რელიგიური ფილოსოფიის პოზიციიდან ომს, ადამიანის მიერ განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებას, ოღონდ ის ნამდვილად ორიგინალურ, ვიტყვოდი, მცირედ რეფორმატორულ პოზიციაზე აღმოჩნდება, რუსული რელიგიური ფილოსოფიისაგან განსხვავებით. მსჯელობს რა ქრისტიანულ ასპექტიზმსა და ქრისტიანული ცხოვრების წესსზე, ხაზგასმით მიუთითებს ცხოვრების და არსებობის დანიშნულებასა და მიზანზე. ის წერს:

*„იგი სააქაოს მოსპობისკენ კი არ მიგვექანებს, პირიქით, მისი ცდა იქითკენ არის მიმართული, რომ სააქაო როგორმე აამაღლოს, იგი როგორმე გააქტივოს. მისი იდეალი, მამასადაძე სააქაო ცხოვრებაა და არა საიქიო არსებობა. ამიტომ ცხოვრების აზრის ჩვენი გეგმა მიწიერი არსებობის განმტკიცებაა... აქ რელიგია ციდან მიწაზე ეშვება... დაბადების წარმოდგენით ადამიანი შემოქმედების გვირგვინით ღვთაებაა. ... ადამიანის არსებაში საუკეთესოდ შეარია სული ხორცს, აქტიურობა - პასიურობას“.<sup>17</sup>*

იმისთვის, რომ დაასაბუთოს ესეც ცენტრალური არგუმენტი - ადამიანის დანიშნულება/ღირებულება, როგორც ცხოვრებისთვის საზრისის მიმცემი მამოძრავებელი მოტივი,<sup>18</sup> უზნაძე იწყებს სიკვდილის ცნების ანალიზით.

სიკვდილი, ყოფითი თვალსაზარისით, ერთმნიშვნელოვნად ბოროტებაა. ის ერთადერთი აუცილებლობაა, რაც მოხდება ადამიანის ცხოვრებაში - „ყველა ადამიანი მოკვდავია“. მიუხედავად დამსახურების, ღვაწლის, საქმიანობის, საჭიროებისა და ასაკის. ამიტომაც, ძალიან ხშირად სრულიად გაუგებარია ან, უმეტეს წილად, არ არსებობს პასუხი კითხვაზე - „კი მაგრამ რატომ?“, როცა მოუღწეოდ შეწყვეტილ სიცოცხლესთან გვაქვს საქმე. ყოფითი ცნობიერება თანხმდება, რომ სიკვდილი ბოროტებაა და ის მიუღებელია. უზნაძისთვის სიკვდილის ასეთი გაგება რელატიურობით არის განპირობებული და არ ითვალისწინებს სხვაობას ყოფით ცნობიერებასა და მეტაფიზიკურ მნიშვნელობას, ანუ სუფთა სახით მნიშვნელობას შორის.

<sup>17</sup> დ. უზნაძე. ომის ფილოსოფია. გვ. 226.

<sup>18</sup> უზნაძისთვის ცხოვრება სიცოცხლისა და სიკვდილის დროში მოცემული ფორმაა და ორივე ერთად მისთვის ცხოვრების, არსებობის დანიშნულების შესრულებას ემსახურება.

უზნაძისთვის სიკვდილის ეს შეფასება პრაქტიკული შეფასებაა და არა აბსოლუტური. აბსოლუტური შემეცნებისთვის მეტაფიზიკური სინამდვილის გაგებაა საჭირო.

*„ჩვენი გონება მხოლოდ შედარებით ცნობებს გვაწვდის და ჩვენი გრძნობა აბსოლუტურ ღირებულებათა ფასს ვერ გვითვალისწინებს“.<sup>19</sup>*

ამ კონტექსტში კი ყოფითი შეფასება, ომის დროს, რადიკალურად იცვლება. ომი პრაქტიკულად ცვლის დამოკიდებულებას და სიკვდილი პოზიტიურ მნიშვნელობას იძენს.<sup>20</sup> უზნაძისთვის ცნებების პირდაპირი მნიშვნელობა განცდაში რომ მოგვეცეს, საჭიროა კრიტიკული სიტუაცია და ომი სწორედ ასეთი კატეგორიაა.

*„ცხადია, რომ ომიც ძირფესვიანად ათავისუფლებს ჩვენს სულიერ ცხოვრებას გონების კატეგორიების ბატონობისაგან, და ამ გზით ჩვენს პირდაპირ უშუაშაველო შეფასებას კვალს უკაფავს“.<sup>21</sup>*

და შემდგომ ავტორი აგრძელებს დასაბუთებას, რომ ომის დროს ჩადენილი მკვლელობა რაინდობის ტოლფასია და არაა მკვლელობა, ანუ იცვლება ცნების მნიშვნელობა და ის დამოკიდებული ხდება რაღაც სხვაზე, რომლისთვისაც

*„ ... ხორციელდება ის უმაღლესი დანიშნულება, ადამიანის არსებობას რომ სარჩულად უდევს. ... სიკვდილი და სიცოცხლე ამ დანიშნულებისთვის სულ ერთია, რომ ზოგჯერ იგი სიკვდილს მოითხოვს და ზოგჯერ სიცოცხლეს. ... ჩვენი არსებობის აზრი თვით [ჩვენი] სიცოცხლის ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ [და მასზე] მაღლა“.<sup>22</sup>*

სიკვდილის მეტაფიზიკა უცხო არ არის ამ პერიოდის ევროპული თუ ქართველი ავტორებისთვის. არც სიკვდილის განსაზღვრება, როგორც სიცოცხლის შეფასების მთავარი

---

<sup>19</sup> უზნაძე დ. ომის ფილოსოფია. გვ.216.

<sup>20</sup> Ibid. 19. „მტრის სიკვდილი სასიქადულო და სანატრელი ამბით ეპკურება ჩვენს გონებას“. გვ. 217.

<sup>21</sup> Ibid 19. გვ. 217.

<sup>22</sup> Ibid. 19. გვ. 218.

ატრიბუტის არის უცხო ქართველისათვის.<sup>23</sup> პირველი მსოფლიო ომი კი სიკვდილსა და სიკვდილის შემდეგ დატოვებულ ადამიანის „ნარჩენებს“<sup>24</sup> მსოფლიო სააზროვნო სივრცეს ახალ თავსატეხად მიაწვდის<sup>25</sup>, შექმნის თვისებრივად ახალ სერვისს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის,<sup>26</sup> ზიგმუნდ ფროიდს კი, რომელსაც არ აღიარებდნენ აკადემიური წრეები, უცნაური იდეებისა და არაცნობიერის მოქმედების დიაპაზონის შესახებ, ვენის უნივერსიტეტი სთხოვს, წაიკითხოს შესავალი ლექციების კურსი ფსიქონალიზში.<sup>27</sup>

---

<sup>23</sup> „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,/სიცოცხლე შვენობს შენითა,/ და შენც, სიკვდილო, ფასი გძე, სიცოცხლის ნაწყენობითა“. ვაჟა - ფშაველა. მოგონება [ლექსი]. ხელმისაწვდომია - <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0vertwo-00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=vertwo&cl=CL3.16&d=HASH794c6be55ae56e2929541> - ნანახია 17-10-2017.

<sup>24</sup> [„ნარჩენები“] იგულისხმება ცოცხლად დარჩენილი, მაგრამ ინვალიდიზაციის მქონე პირები, უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების შესახებ მოგონებები, მითებად და საზოგადო დისკურსად ქცეული ისტორიები, შეფასებები და ა.შ. ყველაფერი ის, რაც დატოვა ადამიანებში ომმა.

<sup>25</sup> 1928 წელს დევიდ ლოურესის რომანი - „ლედი ჩეტერლის საყვარელი“- პირდაპირ კითხულობს რა მოვუხერხოთ იდეალებს, მაშინ როდესაც სხეული გვაქვს და უფრო მეტიც, რატომ გვაიძულებს მკვდარი სხეული, ვუერთგულოთ არა საყვარულს და იდეალებს, არამედ საზოგადოების ღირებულებებს, რომელშიც გავიზარდეთ და რომლისგანაც გავრბოდით, სანამ შემთხვევამ უკან არ დაგვაბრუნა ოლონდ უმოძრაო და უფუნქციო სხეულით. ლორდი ჩეტერლის სახე რომანში სწორედ, უზნაძისეული პარადოქსის გართულებას სხეულის და სულის ერთიანობის მორალთან ჭიდილში კვლავ დაყოფისა და კონფლიქტის თაობაზე.

<sup>26</sup> პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ფსიქოთერაპიული სამსახურების ინსტიტუტციონალიზაცია დაიწყო. ცხადი იყო, რომ ომის ვეტერანები, რომელთაც არანაირი ფიზიკური პრობლემა არ ჰქონდათ საჭიროებდნენ დახმარებას, რომ აღედგინათ მენტალური ჯანმრთელობა. დღეს ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონი ასე განმარტავს ფსიქოთერაპიას: „ფსიქოლოგიური მეთოდებით უფრო, ვიდრე სამედიცინო საშუალებებით ფსიქიკური აშლილობის მკურნალობა“ [ხელმისაწვდომია, <https://en.oxforddictionaries.com/definition/psychotherapy> , ნანახია 17-10-2017]. 2012 წელს ამერიკის ფსიქოლოგიურმა ასოციაციამ მიიღო რეზოლუცია ფსიქოთერაპიის ეფექტურობის შესახებ, რომელში ჯონ ს. ნოკროსის განმარტებაა გამოყენებული: „ფსიქოთერაპია არის ფსიქოლოგიაში დაფუძნებული პრინციპების მიხედვით კლინიკური მეთოდებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების ინფორმირებული და მიზნობრივი გამოყენება, რომელიც ხორციელდება იმისათვის, რომ დაეხმაროს ადამიანებს შეცვალონ საკუთარი ქცევა, კოგნიცია [ცნობიერება, აზრები], ემოცია და/ან სხვა პიროვნული მახასიათებელი იმ მიმართულებით, რაც მონაწილეებს მიაჩნიათ სასურველად.“ [ხელმისაწვდომია - <http://www.eagt.org/research/APA-Resolution-Recognition-of-Psychotherapy-Effectiveness.pdf> - ნანახია 17-10-2017].

<sup>27</sup> ზიგმუნდ ფროიდმა „ლექციების კურსი: შესავალი ფსიქონალიზში“ წაიკითხა ვენის უნივერსიტეტში, ზამთრის სემესტრები 2015-16 და 2016-17 სასწავლო წლები, ფსიქიატრიული კლინიკის სალექციო დარბაზში, სადაც თავს იყრიდა მთელი უნივერსიტეტიდან აუდიტორია. ხელმისაწვდომია - [https://manhattanpsychoanalysis.com/wp-content/uploads/readings/Subramanian\\_Freud\\_II\\_upload/Freud\\_New\\_Introductory\\_Lectures\\_On\\_Psycho\\_Analysis.pdf](https://manhattanpsychoanalysis.com/wp-content/uploads/readings/Subramanian_Freud_II_upload/Freud_New_Introductory_Lectures_On_Psycho_Analysis.pdf) - ნანახია 17-10 2017.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი უზნაძის მიერ წამოწეული პრობლემატიკა - ადამიანის დანიშნულებისა და მისი [ადამიანის] ამ დანიშნულების საკუთარი სხეულით განსაზღვრის შესახებ ეხმიანება იმ პერიოდში დასავლეთში დაწყებულ და ფეხმოკიდებულ დისკურსს, და საკუთარი იდეების განვითარებისა და ანალიზისკენ უბიძგებს ავტორს.

იმის თქმა მინდა, რომ უზნაძე კი არ უსწრებს და /ან მიყვება ეპოქის დაკვეთას, ის თანადროულია ამ ეპოქის, სხვა სიტყვებით, ის „არის აქ და ახლა“ და ისევე ხედავს რეალობასა და ყოფას, როგორც მისნაირი სხვები<sup>28</sup> და ცდილობს უპასუხოს მტანჯველ კითხვას - რა არის მაინც ადამიანის დანიშნულება და რასთან აქვს ადამიანს კონფლიქტი: სიკვდილ-სიცოცხლესთან თუ მოვალეობის (დანიშნულების) ანუ, სხვა სიტყვებით „მისიის“ მსახურებასთან, ცვალებად გარემოში, სადაც ეს მნიშვნელობები იცვლება, რელატიურ ბუნებას ატარებს და დეტერმინირებულია არაცნობიერით, ანუ ყველაფერი იმით, რაც შემეცნების ფუნქციებში არ შედის და ესენია: მიზნები, მოტივები, სურვილები, მოთხოვნილებები, განცდები, ვნებები, გრძნობები, ლტოლვები.

დიმიტრი უზნაძე ამ შრომაში არ ახსენებს სიტყვას არაცნობიერს<sup>29</sup>, მაგრამ ნამდვილად არის მინიშნება გარკვეულ მდგომარეობაზე, რომელსაც ის ასე განსაზღვრავს -

*„ სულ სხვაა მოვლენათა არსებითი აბსოლუტური გარდაუვალი ბუნების ჩვენი პირდაპირი უშუალო გულის სიღრმიდან ამოხეთქილი შეფასება. მხოლოდ ასეთი შეფასება სანდო და ეჭვმიუდგომელია ....“<sup>30</sup>*

უზნაძეს ეს „უშუალო შეფასება“ სჭირდება რამდენიმე მიზნისთვის: პირველი, ვლადიმერ სოლოვიოვთან დებატებისთვის და მეორე, იმპლიციტური დანიშნულების უშუალო განცდაში ასახვის წამიერი ფიქსირების ემპირიული გამოცდილების განზოგადებისთვის.

<sup>28</sup> ინტელექტუალური და შემოქმედებითი ელიტა.

<sup>29</sup> თავის ცენტრალურ ნაშრომში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერტიმენტულის საფუძვლები“ ის საგანგებოდ დაწერს, რომ არაცნობიერი ზედმეტი ცნებაა და მას განწყობა ცვლის. დ. უზნაძე, შრომები, ტომი VI, 1977.

<sup>30</sup> უზნაძე დ. ომის ფილოსოფია. გვ. 220.



შემდგომში ამ საკითხს ქართულ ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში მიმდევრები გამოუჩნდება, გ. ცინცაძე<sup>31</sup> და მოგვიანებით შ. ნადირაშვილი.<sup>32</sup>

უზნაძე ეკამათება ვ. სოლოვიოვს, რომელიც მიიჩნევს, რომ რადგან მეტაფიზიკური სამყარო სრული ჰარმონია და სიყვარულია, ყველა მოვლენა, მათ შორის, ომი, რაიმე სასიკეთოს მომტანია. უზნაძის ძირითადი არგუმენტია ისაა, რომ არსებობს უსამართლო ომები და ასევე არსებობს ომები, რომელთა მონაწილეებიც ან გმირებად, ან ობსტრუქციონისტებად იქცევიან [ლაპარაკია ერზე, რომელმაც ომი დაიწყო და ხალხისთვის მიუღებელია მიმდინარე ომი].

უნდა ითქვას, რომ უზნაძის არგუმენტი არ არის ძლიერი ვ.სოლოვიოვის ფილოსოფიის კრიტიკისთვის, რადგან უზნაძე ეფუძნება კონკრეტულ გამოცდილებას, მისივე სიტყვებით, ყოფით ბუნებასა და გონებას, და არა მეტაფიზიკური აბსოლუტის პრედიკატების სისტემის განხილვას. მიუხედავად ამისა, ავტორის არგუმენტი, თუნდაც სუსტი, წამოჭრის ახალ საკითხს ცხოვრების აზრის შესახებ ანუ, სხვა სიტყვებით, მნიშვნელობის შექმნისა და მისი [მნიშვნელობის] სუბიექტური ბუნების შესახებ.

ცხოვრების აზრის განხილვისას, უზნაძე ეძებს მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც ადამიანები ან ცხოვრობენ სიამოვნების მიღების პრინციპების მიხედვით და/ან რაიმე მიზანზე ორიენტირებულნი არიან.<sup>33</sup> მიზანი მისთვის ობიექტური ხასიათისაა და ის არსებობს იმთავითვე.

უზნაძისთვის ადამიანმა იცის თავისი იმპლიციტური დანიშნულება, რომელიც კონკრეტული განცდის სახით ეძლევა მას და ეს არის შრომა, საქმიანობა, აქტივობა

<sup>31</sup> ცინცაძე გ. პიროვნება, დრო, განწყობა. თბილისი, „მეცნიერება“, 1982.

<sup>32</sup> ნადირაშვილი შ. განწყობის ანთროპოლოგიური თეორია. თბილისი, ოპიზა. 2001.

<sup>33</sup> საინტერესოა, რომ უზნაძე განწყობის ფსიქოლოგიაში ძირითადად მიზანშეწონილ ქცევაზე ლაპარაკობს და არ ახსენებს მიზანმიმართულ ქცევას, გარდა ობიექტივაციის ფენომენის განხილვისას. „ომის ფილოსოფიაში“ ავტორის აზროვნების, გამოხატვისა და წერის თავისუფლება მშვენიერია - 1914 წელს უზნაძისთვის, სრულიად უპრობლემოა ადამიანის დანიშნულებაზე, ღვთიურ წესრიგზე და ღმერთის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებაზე მისი მემკვიდრის ადამიანის მიერ, რომელიც აქტიური და შემოქმედი არსებაა. არაფერი მსგავსი აღარ არის უზნაძის გვიანდელ შრომებში.

მიზნისთვის.<sup>34</sup> შრომა ყოველთვის მიზანია, რომლის შედეგიც უნდა მიიღო, ანუ მიზანზე ორიენტირებულია ქცევა - და

*„დაბადებიდან დაყოლილი გვაქვს თან ის დანიშნულება, რომელსაც მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვახმაროთ“.*<sup>35</sup>

უზნაძე საგანგებოდ ჩერდება განვითარების ცნებაზე, როგორც ვექტორზე, რომელიც, ასევე, იმპლიციტურად მოცემული დანიშნულებიდან მოდის.

*„როდესაც განვითარების შესახებ ვლაპარაკობთ, აუცილებლად ვგულისხმობთ ზრდას, ახალი ფორმებისა და მომენტების შემოქმედებას. ამ სახით განვითარება იქ არის შესაძლებელი, სადაც ასეთ ზრდას არსებითად არაფერი ეღობება“.*<sup>36</sup>

უზნაძე მატერიალურ სამყაროს განიხილავს, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, რომელსაც განვითარება არ ეხება, რადგან ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მატერიალური სამყარო ან არაორგანული ბუნება არსებობს „... ნივთიერებისა და ენერჯის შენახვის პრინციპი წარმოადგენს“.<sup>37</sup>

განვითარების ცნებას უზნაძე ასე განმარტავს -

*„განვითარების ცნება ლოგიკურად დაუსრულებლობის შესაძლებლობას შეიცავს. .... და მთელი ცხოვრების პროცესს ეხება“.*<sup>38</sup>

უზნაძისთვის არსებობს მსოფლიოში აქტიურობის პრინციპი, რომელიც განვითარების შესაძლებლობისათვის აუცილებელი პირობაა. ავტორი ამ აქტიურ მომენტს სულიერებას უწოდებს. უზნაძე წერს, რომ სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის, პირიქით,

---

<sup>34</sup> უზნაძე მიმართავს ისტორიულ არგუმენტს ამ დებულების დასაბუთებისთვის. ის მიმოიხილავს, კულტურის და ცივილიზაციის განვითარებაში საგანგებო ინდივიდების დიდი ჩამონათვალს, რომელთა ცხოვრება ვერანარად ვერ შეფასდება გასაგებად, თუ მათ პრაგმატული თვალთ შევხედავთ

<sup>35</sup> უზნაძე დ. ომის ფილოსოფია. გვ. 221.

<sup>36</sup> Ibid. 34. გვ. 223.

<sup>37</sup> Ibid. 34. გვ. 223.

<sup>38</sup> Ibid. 34. გვ. 223.

*„მისი მდგომარეობის ახალი მომენტი ახალი შინაარსის შექმნაა, რომელსაც იგი ძველს უმატებს და ეს საკვირველი თვისება სულისა ყველასათვის ნათლად მახსიერების ნიჭში ვლინდება. სულის ამოქმედება თავისთავად, ავტონომიურად ხდება. იგი მსოფლიო არსებობის აქტიური მომენტია.... ამიტომ მხოლოდ მას შეუძლია შემოქმედების პრინციპი იყოს“.*<sup>39</sup>

უზნაძისთვის დაუსრულებელ განვითარებას ის განაპირობებს, რომ ადამიანი [„სულის მოქმედება“]<sup>40</sup> გარდაქმნის არაორგანულ ნივთიერებას, როდესაც მის მნიშვნელობას წვდება და ცვლის, იყენებს და ახალი მნიშვნელობას ანიჭებს. ანუ, ადამიანი დაჯილდოვებულია ზოგადად კრეატიულობის და შემოქმედების პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი [„სული ანუ აქტიური მომენტი მსოფლიოში“]<sup>41</sup> ებრძვის ნივთიერებას ანუ პასიურობას, და ეს არის ის, რაც იძლევა დაუსრულებელი განვითარების შესაძლებლობას.<sup>42</sup>

უზნაძე უშუალოდ ეხება ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის საკითხს. ფსიქოფიზიკური დუალიზმის პრობლემა, როგორც ცენტრალური მეთოდოლოგიური საკითხი, დაუძლეველი რჩებოდა ფსიქოლოგიის დაფუძნების შემდეგაც. ვ. ვუნდტისთვის მხოლოდ ცნობიერების პროცესი არსებობდა, როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის საგანი. ის არაფერს ღებულობდა მეტაფიზიკური ფსიქოლოგიიდან, რადგან ვერ ხედავდა მასში სანდო მეთოდოლოგიურ მიდგომას რაიმე ტიპის აზრის დასაბუთებისთვის.<sup>43</sup>

ფსიქოფიზიკური დუალიზმის დამლევის პრინციპი აქვს შემოთავაზებული უზნაძეს ერთიანი სხეულისა და სულის სახით ადამიანის ფორმით.<sup>44</sup> ის წერს \_

---

<sup>39</sup> უზნაძე დ. ომის ფილოსოფია. გვ.224

<sup>40</sup> ფრჩხილებში გატანილია უზნაძის მიერ გამოყენებული სიტყვათშეთანხმება.

<sup>41</sup> Ibid. 39.

<sup>42</sup> Ibid. 38. გვ.225.

<sup>43</sup> თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ვ. ვუნდტს მაინც მოუწია 2 ფსიქოლოგიის დაარსება. ესენია: ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და კულტურის ფსიქოლოგია. კულტურის ფსიქოლოგიის ერთი ნაწილი „ხალხის ფსიქოლოგია“ მალევე ითარგმნა ინგლისურად და ამიტომ მეტად არის ცნობილი ფართო აკადემიური საზოგადოებისთვის.

<sup>44</sup> საგანგებოდა უნდა აღინიშნოს, რომ 1895 წელს გამოქვეყნებული შრომის „ისტერიის შესახებ“, ავტორები ზიგმუნდ ფროიდი, იოსებ ბროიერი [ხელმისაწვდომია

*„ასეთი განსულიერებული ნივთიერების ნიმუშს ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს. იქ სული თითოეულ უჯრედში არის შეჭრილი და ამ სახით თითოეული უჯრედი ცოცხალი, აქტიური არსებაა“ .<sup>45</sup>*

უზნადისთვის მთელი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა უსულოში განსულიერების შეტანა, მსოფლიოს წესრიგი და მასში ჰარმონიისა და წესრიგის დამყარება, ეს ყველაფერი არის

*„კულტურის შემოქმედების აზრი და ასეთია ადამიანის ცხოვრების მიზანი და დანიშნულება“ .<sup>46</sup>*

საინტერესოა, რომ ასეთ შემთვევაში უზნადის მიერ შემოთავაზებული პარადიგმა საერთო ხდება როგორც ინდივიდისათვის, ასევე საზოგადოებისთვისაც, როგორც ამხსნელი პრინციპი, რას აკეთებს ადამიანი და რატომ არის ეს სამყარო ასეთი. ამ დებულებით უზნადე ეხმიანება ლიბერალური თეოლოგიის წარმომადგენლებსაც, რომლებიც თვლიან, რომ ქრისტეს მსახურება არის ჰარმონიის შეტანა ქაოსურ კოსმოსში. ამ მიმდინარეობის გამორჩეული წარმომადგენელი გრანვილ სტენლი ჰოლია. ამერიკაში ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც თვლის, რომ რელიგიის სწავლება ბავშვისთვის უნდა იყოს მისი ასაკობრივი განვითარებისთვის მორგებული და არა დოგმატურად

---

[https://archive.org/stream/studiesonhysteri037649mbp/studiesonhysteri037649mbp\\_djvu.txt](https://archive.org/stream/studiesonhysteri037649mbp/studiesonhysteri037649mbp_djvu.txt) - ნანახია 17-10-2017.]  
ძნელია ვინმე დაიბრალოს, რომ არ იცოდა ფროიდის მოსაზრება ისტერიის კონვერსიული ბუნების შესახებ. სხვა სიტყვებით, განცდის განსხეულება და ახალ რეალობად ქცევა ემპირიულ ფაქტად დასაბუთებული გახდა. ფროიდმა შემოაბრუნა ფსიქოლოგია საკუთარი თავისკენ და დააფუძნა, როგორც თვითმკმარი მეცნიერება, რომელსაც აღმძვრელი გარედან კი არ აქვს [დანაკლისი და მისი შევსებისთვის განხორციელებული ქცევა, ჰომეოსტაზის პრინციპი], არამედ იბადება თუ არა ადამიანი, როგორ სულისა და სხეულის ერთობა, მას თან ახლავს ინტენცია - შინაგანი და არსებითად განუყოფელი, [intrinsic motivation] - იმოქმედოს, დაიკმაყოფილოს საკუთარი სურვილები, რომლებიც ვიტალურიდან დაწყებული ღირებულებით კატეგორიების რანგით გაფორმებული წარმართავს მის ქცევას. შემდგომში ამას აბრაჰამ მასლოუს ცნობილი ღირებულებებითი იერარქიის მოდელიც მოჰყვება. უზნადე სწორედ იმ ავტორების რიგში დგება, რომლისთვისაც ადამიანი იმთავითვე ერთიანი და განუყოფელია. მართალია, მისი ამოსავალი რელიგიური ფილოსოფიაა, მაგრამ ის არ ცვლის ადამიანის ქცევის გაგებისთვის ცენტრალურ პარადიგმას და მას განწყობის სახელს არქმევს შემდგომში. განწყობა უზნადისთვის სხვა არაფერია, თუ არა სიტუაციისა და მოთხოვნილების ერთდროული არსებობა სასურველი ქცევის შესასრულებლად. სხვა სიტყვებით, არსებობს მოთხოვნილება და ის ელოდება სიტუაციას, რომ ქცევით დაკმაყოფილდეს. უზნადისთვის კი მოთხოვნილება ის არის, რაც იმპლიციტურად ეძლევა ადამიანს საკუთარი დანიშნულების შესასრულებლად, ანუ მოთხოვნილების დიაპაზონი ვიტალურიდან ღირებულებებამდე [„აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“, მიეწერება მარტინ ლუთერს] არის განფენილი.

<sup>45</sup> უზნადე დ. ომის ფილოსოფია. გვ. 225.

<sup>46</sup> Ibid. 44. გვ. 226.

მიწოდებული. მან უნდა გაიგოს, რას ეუბნება ღმერთი, იმდენი, რამდენიც მის გონებას შეუძლია.<sup>47</sup>

აქტიური საწყისის ანუ ადამიანის, როგორც შემოქმედი სუბიექტის დაფუძნება, უზნაძისეული ინტერპრეტაციით, ადამიანის დანიშნულება სააქაო ცხოვრების იდეალთან მიახლოება და ამისთვის ზრუნვითა და მუშაობით განსაზღვრება. ამის გამოა, რომ ცხოვრებას აზრი აქვს უზნაძისთვის<sup>48</sup> და ეს აზრი რელიგიური ღირებულების კატეგორიაა.<sup>49</sup>

ესე მომდევნო ნაწილებში „პიროვნება და ცხოვრების აზრი“ და „ერი, როგორც ცხოვრების აზრის სუბიექტი“, ავტორი ცდილობს აჩვენოს, რომ, მართალია, პიროვნება არის შემოქმედი სუბიექტი, მაგრამ ის საზღვრულია დროსა და სივრცეში.<sup>50</sup> სწორედ დროსა და სივრცეში საზღვრულობა არ არის საკმარისი ცხოვრების აზრის სრულად განსახორციელებლად, რადგან ის [ადამიანი], დამოკიდებულია გარემოზე და, შესაბამისად, მისი ქცევაც დეტერმინირებულია გარემოთი. გარემოს დეტერმინაცია გულისხმობს იმ პირობებს, შესაძლებლობებს, ცოდნას, რომელიც მოცემულია აქ და ახლა.

ეს ნიშნავს, რომ დანიშნულებაც დამოკიდებული ხდება გარემოზე. უზნაძე წერს, რომ

*„ჩვენს ცნობიერებით წარსულში შექმნილი შინაარსი თავისებურ მიმართულებას აძლევს მის მოქმედებას და მას მხოლოდ ამ მიმართულებით ემარჯვება ახალი შთაბეჭდილებების მიღება“.*<sup>51</sup>

უზნაძისთვის დროის გარკვეულ მონაკვეთში პიროვნების არსებობა ქმნის საზოგადო (საჯარო) ინტერესს და ეს ინტერესი გამოიხატება ერთნაირი მისწრაფებებისა და ინტერესების არსებობაში, სულიერი ერთიანობა და სულიერი ცხოვრების გაგების

---

<sup>47</sup> Hall G.S. [1900]. The religious content of the child-mind. In: N. M. Butter et al., Principles of religious education. New York: Longmans, Green, pp.161-189.

<sup>48</sup> ადამიანების მიერ ღვთის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება. Ibid. 44. გვ. 226.

<sup>49</sup> Ibid. 44. გვ. 226.

<sup>50</sup> Ibid. 44. გვ. 226-227.

<sup>51</sup> უზნაძე დ. ომის ფილოსოფია. გვ. 229.

თანაგრძნობის შესაძლებლობას ედება საფუძვლად და საერთო ცხოვრების მოწყობის სურვილი აისახება.

*„ამიტომ მისი აზრი და გრძნობა უკვე მისი აღარაა: ამიერიდან მასში ის რთული ერთეული მოქმედებს, ფიქრობს და გრძნობს, რომელშიც იგი შემადგენელ ნაწილად შევიდა“.*<sup>52</sup>

უზნაძე უბრუნდება ომის თემას და ამბობს, რომ ომს წარმართავს საერთო ერთეული და არა ინდივიდი. რადგან ინდივიდი, თავის მხრივ, ინკორპორირებულია საზოგადოებაში და მისი ნაწილია, რის გამოც ინდივიდუალური არსებობა შეუძლებელია, ის მოქმედებს ამ საერთო ერთობის განზომილებებით. სხვა სიტყვებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ქცევისთვის მნიშვნელოვანი ხდება საერთო ღირებულება, რომელიც მას აქცევს ერთობის წევრად და რაშიც ის ხედავს თავისი დანიშნულების შესრულებას. სწორედ ამიტომ, სიკვდილის შიში, როგორც ერთი ინდივიდისათვის დამახასიათებელი ფაქტი, სახეს იცვლის [კარგავს თავის პირველ მნიშვნელობას] და ის [სიკვდილი] ხდება ხერხი, საშუალება, მიზანი დანიშნულების შესასრულებლად.<sup>53</sup>

რომ შევაჯამოთ, დიმიტრი უზნაძე ესეში „ომის ფილოსოფია“ გვეუბნება, რომ ადამიანის ქცევა დეტერმინირებულია მიზნით და ეს მიზანი ანუ მნიშვნელობა, რომელიც ადამიანმა მიანიჭა გარკვეულ ღირებულებას (ი)ქვემდებარებს მის სასიცოცხლო მოთხოვნილებებსაც კი და სიკვდილის შიში კარგავს ძალას [ვალენტობას] და გარდაიქმნება მხოლოდ ხერხად, საშუალებად და მიზნად დანიშნულების, ღირებულების შესრულებისთვის.

<sup>52</sup> Ibid. გვ. 230.

<sup>53</sup> არ არის გასაკვირი, რომ ერი განიხილება ცენტრალურ სუბიექტად. ამ დროისათვის ჯერ არ არსებობს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, არც მოდერნულობა და არც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაშლილი მონარქიები. ეს ყველაფერი წინაა. უზნაძის მიერ აქტიური სუბიექტის, როგორც ერის ნაწილის და ისტორიის შემქმნელად ერის გამოცხადება სწორედ დროისა და სივრცეში მაშინდელი ცოდნით არის დეტერმინირებული. ის წერს: „ცხოვრების აზრი ღვთისგან დაწყებული საქმის განგრძობაა, იგი განსულიერებაა და გაცხოველება მთელი მსოფლიოსი, ხოლო სუბიექტი ანუ აგენტი, რომელსაც მისი განხორციელების ძალა შესწევს, ან ეს დაკისრებულიც აქვს ცალკე ეროვნების სულია“. Ibid. გვ. 231. საკმარისია, რომ დღევანდელი გადასახედიდან ტერმინები შევცვალოთ და აზრი იგივე დავტოვოთ, მივიღებთ - სუბიექტი, ანუ აგენტი, მნიშვნელობას ქმნის საკუთარი შეხედულებების მიხედვით გარემოზე და ახორციელებს მათ, როგორც საკუთარ თვითრეალიზაციას გარემოში და ამით ცვლის გარემოს მისთვის უფრო მისაღებად. ცხადია, არ ვიცი უზნაძე დღეს თანახმა იქნებოდა თუ არა ასეთ ინტერპრეტაციაზე, მაგრამ, სავარაუდოდ, ის შეეცდებოდა მეტად დაესაბუთებინა ერის ისტორიულ სუბიექტად და ცხოვრების აზრად აღიარება, ვიდრე ამ ესეშია.

სამწუხაროა და საინტერესო, რომ დიმიტრი უზნაძის შემდგომი მემკვიდრეობა, რომელიც განწყობის თეორიის სახით ჩამოყალიბდა, განიხილავს ქცევას მხოლოდ მიზანშეწონილობის ტერმინებით და გვერდს უვლის მიზანმიმართული ქცევის საკითხს. ქცევის მიზანშეწონილება ამ ესეში ავტორისთვის არის პრაქტიკული ცნობიერების მოდუსი და არა ადამიანის ქცევის ამხსნელი ცენტრალური პარადიგმა. უზნაძისთვის ცოცხალი ადამიანის მიზანზე ორიენტირებული ქცევა, როგორც ღირებულების მქონე და გარკვეული დანიშნულების მქონე არსების მოქმედებაა საინტერესო. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მრავალ ღირებულებათაგან კონკრეტული ინდივიდის მიერ გარკვეული კლასტერის შერჩევა მნიშვნელობის შექმნის პრობლემას აყენებს სუბიექტის, აგენტის ქცევაში.

დიმიტრი უზნაძის ეს ნაშრომი, ესე, რომელიც გაზეთში იბეჭდება, მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც მის ფსიქოლოგიური თეორიაში ყალიბდება ფსიქოფიზიკური პარალელიზმის უარყოფის, ფუნქციონის ტენდენციის, მიზანშეწონილი ქცევის მექანიზმის, ობიექტივაციის, წარსულის გავლენის [პრაიმინგის], მოტივაციის, ქცევის მნიშვნელობის ინტერპრეტაციის, განვითარებისა და ქცევის ფორმების მრავალმრიანი სტრუქტურის, შინაგანი და არსებითად განუყოფელი მოტივაციის ცნებების გასაშლელად.

უნდა ვიფიქროთ, რომ ის ნამდვილად კარგი სტუდენტია ვილჰელმ ვუნდტის, რომლისთვისაც ფსიქოლოგიაა „მთლიანი გამოცდილება სუბიექტური რეალობის წამიერებაში“.<sup>54</sup> ამ დებულების განვითარებას უზნაძე დარჩენილი ცხოვრების მანძილზე შეეცდება.

---

<sup>54</sup> Araujo S. de F. Wundt and the philosophical foundations of psychology. A reappraisal. [2016]. Springer.

## ავტორთა შესახებ

**რუსუდან მირცხულავა** - რუსუდან მირცხულავა არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. იგი 1980-2012 წლებში მუშაობდა დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მკვლევრად, იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და ჟურნალ „მაცნე“-ს რედკოლეგიის წევრი. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა ხელოვნების ფსიქოლოგია. მას გამოქვეყნებული აქვს 3 წიგნი და მრავალი სტატია. ამჟამად ის არის მოწვეული ექსპერტი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროექტში „დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება“.

**ქეთევან მაყაშვილი** - ქეთევან მაყაშვილი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორი. 1981 წლიდან ის მუშაობდა დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 1987 წლიდან 1997 წლამდე ხელმძღვანელობდა ბავშვთა ფსიქოლოგიური განვითარების დარღვევების კვლევით ლაბორატორიას და ფსიქოლოგიურ სამსახურებს სკოლებსა და პოლიკლინიკებში. 1997-2007 წლებში ის იყო კოორდინატორი პროექტებში: „ინვალიდ



ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა ფსიქო-სოციალური და ემოციური ზრდისთვის“ (UNICEF) და „უმადლესი განათლებისა და სოციალური ზრუნვის რეფორმა“ (TEMPUS). მან, სკრენტონის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2003 წელს ჩამოაყალიბა განსაკუთრებულ მოსწავლეთა განათლების, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი. ის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, იყო განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ხელმძღვანელობდა სამაგისტრო პროგრამას „სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი“. მისი ავტორობით გამოიცა, სახელმძღვანელო, მონოგრაფია და 60-მდე სტატია. მათ შორის: Anticipation in Uznadze's Theory of Set and Findings in Applied Psychology. In Mihai Nadin (Ed.), Anticipation: Learning from the past. Cognitive systems monographs, (Vol. 25). ამჟამად არის მოწვეული ექსპერტი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროექტში „დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება“.

**დალი ფარჯანაძე** - დალი ფარჯანაძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი. 1986-1995 წლებში ის იყო საქართველოს ფსიქოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. ასევე, იყო „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალ“-ის რედაქტორი და საერთაშორისო ჟურნალის “Zeitschrift fur Sozial Management” სარედაქციო საბჭოს წევრი, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროებია კოგნიტური და პიროვნების ფსიქოლოგია. იგი არის ავტორი და რედაქტორი მრავალი წიგნის თუ სტატიის. ამჟამად ის არის მოწვეული ექსპერტი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროექტში „დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება“.

**მარინე ჩიტაშვილი** - მარინე ჩიტაშვილი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი. მისი სამეცნიერო ინტერესის სფერო მოიცავს სოციალურ და პიროვნების ფსიქოლოგიას, რელიგიის კვლევებს, სოციალურ კოგნიციას, ღირებულებებს და პოლიტიკის ფსიქოლოგიას. მას გამოქვეყნებული აქვს 2 წიგნი და 30 სტატია. მან დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „Think Tank - სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“ და ხელმძღვანელობდა მას 10 წლის განმავლობაში, 2013 წლამდე. ის, ასევე, არის „პოლიტიკის ფსიქოლოგიის საერთაშორისო ცენტრ“-ის წევრი. ამჟამად, პროფესორი ჩიტაშვილი არის მოწვეული ექსპერტი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროექტში „დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება“.